# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 29 აპრილი, 2011 წელი.

№79 (6690)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## „ბარბის პირამიდა“

## ვინ დაუბრუნებს მოტყუებულ-გაუბედურებულ ხალხს დაუსჯელობით გათამამებულთაგან წაგლეჯილ ფულს? ②

**მოვითხოვთ!**

პროკურატურამ დაიწყოს კომპანია „ცენტრ პოინტის“ საქმიანობის გამოძიება.

შესრულდეს კომპანია „ცენტრ პოინტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ყველა პირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვიბრუნდეს გადახდილი თანხები.

მაისის ბოლომდე მინდობილმა კომპანია „დექსუსმა“ წარმოადგინოს „ცენტრ პოინტის“ ვალდებულებების შესრულების გარანტიები, გამყარებული და უზრუნველყოფილი კომპანიის ქონებითა და ფინანსებით.

რუსუდან კერვალიშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნას და მის ჩამოშორებას საკანონმდებლო საქმიანობისგან.

ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლოს ე. წ. „ჩაბარებული“ და შეჩერებული, დაუმთავრებელი მშენებლობები და გააკეთოს სათანადო დასკვნები.

ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის თავმჯდომარემ წარმოადგინოს (საჯარო გახადოს) „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტოსთან“ დადებული ხელშეკრულება.

კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეები.

28 აპრილი, 2011 წელი,
რუსთაველის გამზირი №8, პარლამენტის შენობა

## აღდგომის მადლი გაგიწყრათ? ღმერთი აღარა გწამთ?! ④

## როგორ უკავშირდებიან რევოლუციები და მიწისძვრები? ⑪



## ყველა ხომ ვერ იქნება უგულავას ნათესავი?!

### მაინც ვინ არის ის „გულმოწყალე“ შემწყალებელი?

სააგენტო „პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სააღდგომოდ პატიმრობიდან გათავისუფლდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც მსუბუქი დანაშაულებისთვის იხდიდნენ სასჯელს და მსჯავრის ამოწურვამდე ორი-სამი თვეღა ჰქონდათ დარჩენილი. როგორც „პირველი“ ამბობს, მათ ეს ინფორმაცია სანდო წყარომ მიაწოდა. გარდა ამისა, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სააღდგომოდ 12 ქალი შეიწყალეს, თუმცა რეალურად სიაში მხოლოდ 8 მსჯავრდებული მოხვდა. ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელსაც სიების ოფიციალურად გამოცხადებამდე საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციიდან ცრუ ინფორმაცია ჰქონდა მიღებული, რომ შეწყალებულთა სიაში მისი გვარიც იყო, გვარების გამოცხადების შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ, საბედნიეროდ გადაარჩინეს.

აი, ერთი პიროვნება კი რომელიღაც ინკოგნიტო „გულმოწყალემ“ მართლაც გადაარჩინა: „პირველის“ წყაროს ცნობით, შეწყალებულთა სიაში აღმოჩნდა თბილისის მერის ახლო ნათესავი, ვინმე გოდერძიშვილი, რომელსაც სასამართლოს მიერ მისჯილი 11 წლიდან მხოლოდ... 7 თვე ჰქონდა მოხდილი.

იხ. 2 გვ.

## პროფესიონალიზმი – უმწვავესი პრობლემა მედიაში ③

## თვითმკვლელთა ქალაქი ⑨

## რუსეთში სტალინის პოპულარობა სწრაფი ტემპით იზრდება ⑧

## წამებში იავარქმნილი

### რაჭა-ლეჩხუმი და იმერეთი...



ეს ოცი წლის წინათ იყო ⑦

◉ კომენტარი

# თუ ხელისუფლებას იზოლაციაში მოხვედრა არ სურს...



**როგორც „პირველს“ ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის თინა ქეიდენაუს გუშინდელმა განცხადებებმა „კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ასახული შენიშვნები, მათ შორის შერჩევითი სამართლის შესახებ არის არა უბრალოდ საქართველოდან გასული ინფორმაცია, როგორც ამას საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია“.**

„ასეთი განცხადებების გაკეთება მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან მსგავსი შინაარსის მესიჯები, განსაკუთრებით ბოლო ორი კვირის განმავლობაში არაერთხელ გაჟღერებულა. საარჩევნო გარემოს არჩევნებამდე სულ მცირე, ერთი წლით ადრე გაუმჯობესების აუცილებლობაზე ვენეციის კომისია და ევროსაბჭოც საუბრობენ. რაც შეეხება მედიაგამჭვირვალობას, აქაც ერთმნიშვნელოვანია, რომ მედიამფლობელების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები საკმარისი არ არის და ამ მიმართულებით პრობლემები რჩება, საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი კი ევროპასა და ამერიკაში უკვე ყბადაღებულ თემად იქცა“, — განაცხადა ხმალაძემ და დასძინა, რომ „თინა ქეიდენაუს განცხადებები მნიშვნელოვანია და ხელისუფლებამ ისინი ყურად უნდა იღოს, რათა უფრო მეტ იზოლაციაში არ აღმოჩნდეს“.



„ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს. როცა არაერთგზის შენიშვნებზე არაერთგზის მიგითითებენ და მათ არ გაითვალისწინებ, შენს მიმართ დამოკიდებულება შეიცვლება და ეს ბუნებრივია“, — დასძინა ხმალაძემ.

**ნინო ჩიჩუა**

◉ ვითარება

# რეალური საქმისთვის შამფურიც უნდა დაიწვას!

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თინა ქეიდენაუს განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში საარჩევნო გარემო წელსვე უნდა შეიცვალოს, არც მწვადს წვავს და არც შამფურს“.**

„ქეიდენაუმ უდავოდ იცოდა, რომ მაისის ბოლოზე იყო ლაპარაკი და ამ საკითხში ამხელა ცვლილება შეიტანა: „წელსვე“ ხომ თუნდაც დეკემბერს მოიცავს! მეჩვენება, რომ ამერიკელი პარტნიორი ცდილობს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური, ანუ — არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება. ვადის გაგრძელება ოპოზიციას მოლოდინს გაუგრძელებს, ხელისუფლებას კი მისცემს უფრო მეტ დროს იმისთვის, რომ უარი არ თქვას და მანევრები ჩაატაროს არჩევნებთან დაკავშირებით. საარჩევნო გარემო, რომელიც უკვე შექმნილია, შექმნილია ხელისუფლების მიერ და რატომ ენდომება ხელისუფლებას იმის შეცვლა, რაც მასზეა მორგებული?! როცა ადამიანს ცვლილება არ უნდა, რაც მეტ დროს მისცემ მას, მით უფრო მეტ საშუალებას აძლევ იმისათვის, რომ ან დეკორატიული ცვლილებები განახორციელოს, ან მივიდეს იმ ზღვრამდე, როდესაც ცვლილებას აზრი აღარ აქვს, ანუ როცა ცვლილება უკვე დაგვიანებულია“, — განაცხადა საყვარელიძემ.



ამასთან, პოლიტოლოგი ვარაუდობს, რომ „საარჩევნო გარემოს შეცვლაში ქართული მხარე — სხვას გულისხმობს და ამერიკული სხვა რამეს“.

„არ ვიცი, რამდენად გულისხმობდა საარჩევნო გარემოში ქეიდენაუ იმას, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ ხოლმე, ანუ იმას, რომ საარჩევნო გარემო შესაცვლელია თავისი მედიაკომპონენტით, ციხეზე და სასამართლოზე გავლენით და ასე შემდეგ. ჩვენი გაგებით, ფრაზაში „საარჩევნო გარემო“ მთელი ეს სისტემაა ნაგულისხმები. თუ კი ეს არ შეიცვლება, შეიძლება, კანონი დეკორაციული ცვლილება აღმოჩნდეს და მის შირმას იქით ისევ ის გაგრძელდეს, რაც ადრე ხდებოდა. იმაში არის თუ არა ჩახედული საარჩევნო გარემოს ასეთ გაგებაში ამერიკული მხარე და, კერძოდ, ქეიდენაუ, ცოტა ეჭვი მეპარება“, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

**ხათუნა გაგნიძე**
**„პირველი“**

◉ ესეც ასე!

# ყველა ხომ ვერ იქნება უგულავას ნათესავი?!

## მაინც ვინ არის ის „გულმოწყალე“ შემწყალებელი?



(პირველი გვერდიდან)

***ჩვენ ამ ინფორმაციების გადამოწმება ვცადეთ შეწყალების კომისიის თავმჯდომარესთან ელენე თევდორაძესთან, რომელმაც გაოცება გამოხატა და ასეთი ფაქტების არსებობა უარყო.***

**— ქალბატონი ელენე, მართლა შეიწყალეს ის ადამიანები, რომელთაც მსჯავრის ამოწურვამდე სულ რაღაც ორი-სამი თვე ჰქონდათ დარჩენილი, როგორც ამას სააგენტო „პირველი“ ავრცელებს?**

— იმ პირთა საკითხი, რომელთაც ნახევარ წელზე ნაკლები ჰქონდათ დარჩენილი გათავისუფლებამდე, არც განგვიხილავს. რა თქმა უნდა, იყო შემოსული შეწყალების თხოვნის წერილები ასეთი პატიმრებისგან, თუმცა ჩვენ მათი სია არ გადაგვიცია. მახსოვს, იყო მსჯავრდებული, რომელსაც ყველაზე ცოტა — 7 ჰქონდა დარჩენილი და იგი შეიწყალეს, სხვებს კი წელიწადი და რამდენიმე თვე, ან 2-3 წელი ჰქონდათ დარჩენილი, ამიტომ „პირველის“ ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება.

**— ასევე ნათქვამია, რომ 12 ქალბატონი შეიწყალეს, მაგრამ რეალურად მხოლოდ 8 მსჯავრდებული ქალი გაათავისუფლესო...**



— 8 ქალბატონი ნამდვილად გათავისუფლდა, ხოლო ოთხს სასჯელი გაუნახევრდა, ამიტომაც ესეც არ არის სრულყოფილი ინფორმაცია.

**— რაც შეეხება, გოდერძიშვილს, რომელიც შეწყალებულთა სიაში აღმოჩნდა, თუმცა მისჯილი 11 წლიდან, მხოლოდ 7 თვე ჰქონია მოხდილი...**

— ასეთი გვარი ჩვენს განსახილველ სიაშიც კი არ ყოფილა, არათუ შეწყალებულთა სიაში. მე არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ვერსია, რადგან ჩვენ არ განვიხილავთ იმათ საკითხს, ვისაც სასჯელის ნახევარი მაინც არა აქვს მოხდილი. გოდერძიშვილი კი, როგორც გითხარით, შეწყალების კომისიის სიაში არ ყოფილა.

**— ქალბატონო ელენე, თქვენ, ალბათ, გახსოვთ, თუ არ ვცდები, დაახლოებით ამ ორი წლის წინათ მომხდარი ფაქტი, როცა ერთ-ერთმა შეწყალებულმა პოლიციელი მოკლა. თქვენ მაშინ ამბობდით, რომ არც ის პატიმარი იყო თქვენს სიაში.**

— რა თქმა უნდა, მახსოვს. ის ადამიანი შეწყალების კომისიის სარეკომენდაციო ნუსხაში არ ყოფილა.

**— ანუ პრეზიდენტს შეუძლია პატიმარი დამოუკიდებლად შეიწყალოს?**

— დიახ, მას ამის უფლება აქვს. თქვენ იცით, რომ მასთან სია შედის საპატრიარქოდანაც. ჩვენი კომისია მხოლოდ განიხილავს პატიმართა საქმეებს და რეკომენდაციას უწევს მათ, მაგრამ პრეზიდენტი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.

**— ე. ი. შეიძლება თქვენ საქმის კურსში არა ხართ, თუმცა პატიმარი გოდერძიშვილი, ალბათ, რეალურად გათავისუფლებულია.**

— ვერაფერს გეტყვით, მე დაახლოებით ვხვდები, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო „პირველის“ წყარო. დილით, ერთ-ერთი პატიმრის დედამ საყვედურით დამირეკა და ეს ინფორმაცია მითხრა, მაგრამ პიროვნებაზე, რომელიც შეწყალების კომისიის სიაში არ იყო, არაფერი ვიცი...

**ქალბატონ ელენესთან რისი გადამოწმებაც მოვახერხეთ, ესაა. რაც შეეხება უპრეცედენტოდ უსამართლოდ გათავისუფლებულ პატიმარს, მასზე ინფორმაცია, წესით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უნდა დაადასტუროს, ან უარყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მსგავსი არაფერი მოხდება. რთულია იმის მტკიცება, მართლა არის თუ არა გოდერძიშვილი უგულავას ახლო ნათესავი, თუმცა საქმის არსიდან გამომდინარე, ამის დაჯერება ადვილია.**

**თეა მოსია**

◉ მოთხოვნა-პროტესტი

# „ბარბის პირამიდა“

## ვინ დაუბრუნებს მოტყუებულ-გაუბედურებულ ხალხს დაუსჯელობით გათამამებულთაგან წაგლეჯილ ფულს?

(პირველი გვერდიდან)

ასეთია კომპანია „ცენტრ-პოინტის“ მიერ „გადაგდებული“ 6500-მდე მოქალაქის მოთხოვნა, რომელთა შორის უამრავი ადამიანი საცხოვრებლის გარეშეა დარჩენილი. ისინი, ამ ერთ-ერთი ყველაზე „წარმატებული“ კომპანიის მიერ დაზარალებულები — სამ კატეგორიად იყოფიან. არიან ისეთები, რომლებმაც სრულად გადაიხადეს ბინის შესაძენი თანხა, მაგრამ რამდენიმე წელს უიმედოდ ელიან საკუთარ ჭერს. არიან ისეთებიც, რომლებსაც ნაწილობრივ აქვთ დაფარული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა. მესამე კატეგორიაში კი ის ადამიანები არიან, რომლებმაც კომპანიაში ჩადეს ინვესტიციები (მინიმუმ 3000 ლარიძ და 2-პროცენტიანი სარგებლის მიღების იმედით ცდილობდნენ მძიმე სოციალურ მდგომარეობასთან გამკლავებას (მათ შორის ძალიან ბევრია, ისეთი, რომლებმაც თავიანთი ბინები გაყიდეს და მიღებული თანხა „ცენტრ-პოინტში“ შეიტანეს, რომ ელემენტარული შემოსავალი ჰქონოდათძ.



შევეცდები, მოკლედ გაგაცნოთ ის სქემა, რომლითაც მოქმედებდა სამშენებლო კომპანია და რომელიც, ფაქტობრივად, ყველასთვის ცნობილი ე. წ. „პირამიდის“ ერთ-ერთი მოდელია.

კომპანიის მესვეურებმა, სავარაუდოდ თავიდანვე იცოდნენ, რომ აღებულ ვალდებულებებს ვერ შეასრულებდნენ. ამიტომ ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმდებოდა არა უშუალოდ „ცენტრ-პოინტთან“, არამედ იმ შპს-სთან ან ამხანაგობასთან, რომელიც უშუალოდ კონკრეტული პროექტის შემსრულებელი იყო. შესაბამისად, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, „ცენტრ-პოინტი“ „მშრალად“ გამოდიოდა.

ასევე იმის ნაცვლად, რომ მიღებული ფინანსური რესურსები პროექტის განხორციელებას მოხმარებოდა, კომპანია ამ ფულით ახალი პროექტებს აღგენდა და აპიარებდა. შესაბამისად, ხდებოდა ახალი კლიენტების მოზიდვა, ახალი ფინანსური რესურსის მიღება და შემდეგ ისევ ახალი პროექტები და „პომპეზური“ რეკლამები.

2010 წლის 10 სექტემბერს „ცენტრ-პოინტმა“ თავისი ვალდებულებები კომპანია „დექსუსს“ გადააბარა.

„დექსუსი“ მომხმარებელს დაჰპირდა, რომ ფინანსურ რესურსს მოიზიდავდა და მშენებლობებს დაასრულებდა. მაგრამ რესურსის მოზიდვა არა მარტო ინვესტორების ან ბანკებიდან აღებული სესხის ხარჯზე, არამედ მოტყუებული კლიენტებისგან დამატებითი თანხების მიღების იმედზე იყო ნავარაუდევი. თურმე „ცენტრ-პოინტს“ თავის დროზე დღგ არ გადაუხდია, და ამიტომ მომხმარებელს დამატებით 18 პროცენტი უნდა გადაეხადაო.

**მოკლედ რომ ვთქვა, 6500-მდე დაზარალებული ადამიანი, რომელთაგან თითოეულის უკან სულ ცოტა 4 ადამიანი დგას, მხოლოდ სასწაულის იმედზე დარჩენილი. დიახ, სასწაულისა, რადგანაც ქართული მართლმსაჯულება, რომლის „რეფორმირებაში“ გარკვეული წვლილი საქართველოს პარლამენტის ვიცე სპიკერს, ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილსაც „მიუძღვის“, რიგითი მოქალაქეებისთვის ფაქტობრივად მიუწვდომელია.**

**გია გაბრიჭიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რეგიონული შეხვედრები

# პროფესიონალიზმი – უმწვავესი პრობლემა მედიაში

**სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა „თბილისი მერიოტში,“ საქართველოს მედიის ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში, რეგიონული შეხვედრების შედეგები შეაჯამა. სხდომას სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე ია ანთაძე უძღვებოდა.**



რეგიონული შეხვედრები სახელწოდებით – **„დიალოგი მედიას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის“** ექვს ქალაქში – ბათუმში, ოზურგეთში, ფოთში, ქუთაისში, სიღნაღსა და გორში ჩატარდა.

შეხვედრების მიზანი იყო მედიის მთავარი პრობლემების იდენტიფიცირება სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებთან ურთიერთობების ჭრილში, ასევე, დისკუსიის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება.

თითოეულ ქალაქში შეხვედრის მონაწილეები ადგილობრივი მედიის ხელმძღვანელთა რეკომენდაციით და კონკურსის წესით შეირჩნენ. ყველა შეხვედრაში ხელისუფლების, ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის, მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საერთო ჯამში, დისკუსიებში 122 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის, მედიას წარმოადგენდა 33, ხელისუფლებას – 26, არასამთავრობო ორგანიზაციებს – 28, ოპოზიციას – 17 და საზოგადოების ნაწილს – 18 ადამიანი.



ია ანთაძის განცხადებით, დისკუსია, რომელიც საქართველოს ექვს ქალაქში გაიმართა, ძალიან საინტერესოა მათი შემდგომი სტრატეგიის დასაგეგმად. მისი თქმით, მათ შეძლეს საქართველოს ექვს ქალაქში ერთ მაგიდასთან დაესვათ როგორც ხელისუფლება, ასევე – ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორის, საზოგადოებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები.

ანთაძის შეფასებით, რეგიონებში ცხოვრება, თბილისთან შედარებით, ბევრად უფრო აქტიურია და მედიაც უფრო უკეთესი აქვთ, ვიდრე თბილისში.

პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი, საზოგადოების სისუსტე, პოლიტიკური ნება და შიში – ასეთია იმ პრობლემების ჩამონათვალი, რაც „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ მონაცემებით, საქართველოში მედიის ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში არსებობს.

**„ამ ოთხი მთავარი პრობლემიდან წმინდა მედია-პრობლემა გახლავთ მხოლოდ პირველი მათგანი – პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი, დანარჩენი სამი კი – ეხება გარემოს, რომელშიც მედიას უწევს საქმიანობა,“** – განაცხადა ია ანთაძემ.

**„ყველა ქალაქში გამართულ დისკუსიაში ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, თუმცა ყველაზე მწირი ამ თვალსაზრისით ქუთაისი აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლებას ქალაქის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ხელმძღვანელი წარმოადგენდა. გურიაში გუბერნატორი და მისი მოადგილე მონაწილეობდნენ, ფოთში თავად ქალაქის მერი, კახეთში -რაიონების გამგებლები,“** – აღნიშნა მან..

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს საკითხზე: რა უშლის ხელს მედიას ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან ერთიერთობის პროცესში?

გამოკითხული 122 ადამიანიდან 67-მა მთავარ პრობლემად პროფესიონალიზმის ნაკლებობა დაასახელა, 51-მა – პოლიტიკური ნება, 49-მ – საზოგადოების სისუსტე, 36-მა – შიში, 18-მა – კომუნიკაციის პრობლემა და 7-მა – ფავორიტიზმი.

უმრავლესობამ მედიაში პროფესიონალიზმის ამაღლების საუკეთესო გზად საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების გაუმჯობესება, ასევე, ექსპერტული და ანალიტიკური ჟურნალისტიკის განვითარების მხარდაჭერა დაასახელა, თუმცა უმრავლესობის აზრით, არსებობს ისეთი რისკფაქტორები, როგორიცაა მედიაში მწირი ფინანსები და პროფესიონალების გადინება სახელისუფლებო და ბიზნეს–დაწესებულებების პიარ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში.

გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ პოლიტიკური ნებისა და შიშის პრობლემების მოგვარება საზოგადოების გააქტიურებით არის შესაძლებელი.

ამავე შეხვედრაზე სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის პირველი სახელმძღვანელოც წარმოადგინა. წიგნში ქარტიასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული 20 სტატიაა განხილული.

წიგნი მომზადდა და გამოიცა საქართველოს მედიის ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს მედიის ხელშემწყობ პროგრამას, ევროკავშირის მხარდაჭერით, ოთხი ორგანიზაცია ახორციელებს. ეს ორგანიზაციებია: გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია (WAN-IFRAძ, აირექსევროპა, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

**თამარ შაიშმელაშვილი**

პოზიცია



**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა რუს პოლიტოლოგს, რუსეთის პრეზიდენტის საზოგადოებრივი საბჭოს წევრს დიმიტრი ორეშკინს**

# „რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების გამწვავებას სწორედ პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტებამდე არ გამოვრიცხავ“

**– ბატონო დიმიტრი, პრეზიდენტმა მედვედევმა ტელეკომპანია „დოჟდში“ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ვადის დასრულების შემდეგ პედაგოგიური საქმიანობა სურს, არ გამორიცხავს რომელიმე ტელევიზიაში პოლიტიკურ კომენტატორობასაც. ამ განცხადებებიდან ცხადი გახდა, თუ ვინ იყრის კენჭს რუსეთში 2012 წლისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში. შეიძლება ითქვას, რომ მედვედევის ამ განცხადებებმა მედვედევ-პუტინს შორის „დახუჭობანას“ თამაშს წერტილი დაუსვა. როგორ შეხვდა რუსეთის ლიბერალური პუბლიკა მედვედევის გულწრფელ აღიარებებს, რომელსაც მედვედევის მოდერნიზაციის გეგმებთან დაკავშირებით ილუზიები ბოლომდე ჰქონდა?**

– არ ვიცი, რამდენად ლიბერალია ბატონი კასიანოვი, მაგრამ მედვედევის ამ განცხადებებთან დაკავშირებით მან გამოთქვა მოსაზრება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მედვედევი ნამდვილად არ მიიღებს მონაწილეობას. მისივე აზრით, თუ თავად პუტინმა არ იყარა კენჭი, მისი მემკვიდრე მედვედევი ნამდვილად აღარ იქნება, ვინაიდან მედვედევმა უკვე საკმაო გამოცდილება დააგროვა და მეორე ვადით პრეზიდენტად დარჩენის შემთხვევაში, პუტინისგან გაცილებით დამოუკიდებელი იქნებოდა, რაც მოქმედი პრემიერ-მინისტრისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

ჩემი აზრით, პუტინთან შედარებით მედვედევს გაცილებით ნაკლები შანსი აქვს. მედვედევს რომ სამართლიანი არჩევნები მოეგო, ცესკოს თავმჯდომარედ ნეიტრალური პიროვნება უნდა ყოფილიყო, მაგრამ პუტინის მცდელობით საარჩევნო ადმინისტრაციას ისევ ჩუროვი უხელმძღვანელებს, რომელსაც ეკუთვნის გამოთქმა – „პუტინი ყოველთვის მართალია“.

მედვედევმა ადმინისტრაციული რესურსისთვის პუტინთან ბრძოლა წააგო. ძალოვნები ისედაც პუტინის მხარდამჭერები იყვნენ. მარჩიელობა არ არის საჭირო, ვის გამოაცხადებს არჩევნებში გამარჯვებულად ჩუროვის თავმჯდომარეობით საარჩევნო კომისია, თუ არჩევნებში მონაწილეობას პუტინი მიიღებს.

**– ფაქტია, რომ მედვედევის განცხადებები მეტი თავისუფლების, ხელისუფლების არჩევითობისა და რუსეთის მოდერნიზაციის აუცილებლობის შესახებ სრული ილუზია აღმოჩნდა. აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ტანდემში ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების საჯაროდ დაფიქსირება მხოლოდ დასავლეთისთვის გათამაშებული სცენარის ნაწილი იყო...**

– არა, მედვედევს მართლაც სურდა ქვეყნის მოდერნიზაცია, ამ მიმართულებით შესაძლოა, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ გარკვეული ნაბიჯები მაინც გადადგა. რუსეთი დიდი ქვეყანაა და მისი მოდერნიზაცია არც ისე მარტივი ამოცანაა. ქვეყანაში არსებობენ საკმაოდ დიდი და გავლენიანი ჯგუფები, რომელთა ინტერესების გაუთვალისწინებლობას შეიძლება პრობლემები და ქვეყანაში ვითარების გართულება მოჰყოლოდა. მედვედევს მოუწია, ანგარიში გაეწია როგორც ძალოვნებისთვის, ისე ოლიგარქებისა და მაღალი რანგის ჩინოვნიკებისთვის. იგი შეეცადა ქვეყანაში ინტერნეტის ქსელის გაფართოებას. მესმის, რომ ეს არ არის დემოკრატიის განვითარების გარანტია, მაგრამ ინტერნეტი ქმნის დემოკრატიული პროცესების განვითარების პირობებს. მედვედევი შეეცადა ქვეყანაში სამართლებრივ ნიჰილიზმთან ბრძოლას. ამ თემებზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ მისი მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო და ბევრად იყო დამოკიდებული პრემიერ-მინისტრ პუტინზე. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ მედვედევი გადაწყვეტილების მიღებისას პუტინივით მტკიცე არ აღმოჩნდა და მერყეობდა. მედვედევი პრეზიდენტად სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ ბუნებით მერყევი ადამიანია.

**– თქვენი აზრით, როგორ შეხვდება დასავლეთი და იგივე ვაშინგტონი კრემლში პუტინის სავარაუდო დაბრუნებას?**

– ცხადია, რომ დასავლეთისა და აშშ-ის ელიტჯგუფები პუტინით აღფრთოვანებული არ არიან, მაგრამ დასავლეთი, იმის მიუხედავად, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ რუსეთში ჩატარებულ არჩევნებზე, ნებისმიერ არჩევანს მიიღებს, რომელსაც რუსეთის მოსახლეობა გააკეთებს.

იხ. 5 გვ.

მოთხოვნა

# ჩააბარებს ხელისუფლება ხალხს ანგარიშს?

**საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ და 21 არასამთავრობო ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, საპარლამენტო კომიტეტებსა და ფრაქციებს**

არასამთავრობო ორგანიზაციები: **საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია; ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი** - ლია მუხაშავრია; **ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი** – ალექსი შოშიკელაშვილი; **ახალგაზრდობა სამართლიანობისთვის** – ნინო გელაშვილი; ზაალ ანჯაფარიძე; **კავშირი 21-ე საუკუნე** – პაატა გაჩეჩილაძე; **კანონი ხალხისთვის** – ზაქარია ქუცნაშვილი; **კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი** – გიორგი ხუციშვილი; **კავკასიის ქალთა ქსელი** – ნინო ციხისთავი; **კოალიცია დევნილთა უფლებებისთვის** – ზურაბ ბენდიანიშვილი; **კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“** და სხვები დაბეჯითებით სთხოვენ პარლამენტარებს, რეგლამენტით დადგენილი წესით გაიმართოს საპარლამენტო მოსმენა ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქმის – საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ – თაობაზე.

როგორც ცნობილია, ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე – **საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ**.

ხელმომწერთა განცხადებით, რადგან ზემოაღნიშნული საქმე უკავშირდება საქართველოში 90-იან წლებში და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს, მთელი ქვეყანა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს საქმის მსვლელობას და შედეგებს ელოდებოდა.

ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ **საპარლამენტო მოსმენაში მონაწილეობა მიიღონ აღმასრულებელი ხელისუფლების იმ თანამდებობის პირებმა, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ სარჩელის შედგენასა და საქართველოს ინტერესების დაცვას ჰააგის სასამართლოში.**

**ცნობისათვის: ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ 1 აპრილის სხდომაზე 10 ხმით 6-ის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელი მის იურისდიქციაში არ შედის.**

**სასამართლომ, ასევე, 12 ხმით 4-ის წინააღმდეგ უარყო რუსეთის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც, რუსული მხარე ამტკიცებდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დავა არ არსებობს.**

**ამასთან, ჰააგის სასამართლო გააგრძელებს მსჯელობას რუსეთის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს აღარ აქვს იმის საშუალება, რომ ამავე სასამართლოს განმეორებით მიმართოს.**

**საქართველომ სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის დარღვევის თაობაზე შეიტანა. საქართველო რუსეთის ხელისუფლებას, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციაში ადანაშაულებს. სარჩელი 1990-2008 წლების შემთხვევებს აერთიანებს.**

**ნატა ნიბლაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 79. პარასკევი, 29 აპრილი, 2011 წელი.

მკვახე შეძახილი

# აღდგომის მადლი გაგიწყრათ? ღმერთი აღარა გწამთ?!

## სადა ხართ სახალხო დამცველო და ჩვენო დასავლეთელო „მეგობრებო“?



**ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს ჩემს ახლობელს ხათრი ვერ გავუტეხე და ე.წ პრობაციის ბიუროში გავყევი, სადაც ის ასევე ე.წ. პირობით სასჯელს (5 წ. (!!!) იხდის.**

**— წამყევი. უცებ მოვაწერ ხელს და გავაგრძელოთ სააღდგომო ქეიფიო. კარგი-მეთქი, რადგანაც ადრეც წავყოლილვარ და ვიცოდი, რომ თითის ანაბეჭდით პიროვნების იდენტიფიკაცია დიდ დროს არ წაიღებდა, მაგრამ...**

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, რომ იტყვიან, ისე დამემართა — კოლმეურნეობის მოედანზე რომ მივედით, სადაც მდებარეობს პრობაციის ეროვნული (???ძ ბიურო, პირკატა მეცა — იმდენი ხალხი ირეოდა, მიტინგი გეგონებოდა და, სულო ცოდვილო, ვიფიქრე — ის ნანატრი დაანონსებული რევოლუცია ხომ არ დაიწყო-მეთქი? მაგრამ შენც არ მომიკვდე, თურმე საწყალი პრობაციონერები, ანუ, პირობით მსჯავრდებულები იდგნენ რიგში, რათა ცერა თითის ანაბეჭდით დაედასტურებინათ ნაცების მთავრობისთვის, რომ გასულ თვეში თუ კვირაში (ვის, როგორ რა, ზოგი თვეში და ზოგი კვირაში ერთხელ უნდა გამოცხადდეს ტურფა ხათუნი (მინისტრთანძ უფროსთანძ ჭკვიანად იქცეოდნენ და ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბი არ გაჰყავდათ.

როგორც ადგილზე შევიტყვე, უჩვეულო ხალხმრავლობის მიზეზი პირმშვენიერი „ხათუნი მინისტერშას“ მიერ გატარებული „რეფორმა“ ყოფილა, რაც პრობაციონერების უფლება-მოვალეობების ნუსხაში შეტანილი ცვლილებებით გამოიხატა. მასში ჩაუწერიათ, რომ, თუ პირობით მსჯავრდებულის პრობაციის ბიუროში გამოცხადების თარიღი უქმე დღეს დაემთხვა, ეს უკანასკნელი ვალდებულია მომდევნო, უახლოეს სამუშაო დღეს გამოცხადდეს!

ჰოდა, ვნების კვირის ხუთშაბათიდან, ვიდრე ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათამდე, ანუ ლამის ერთი კვირა, უფრო ზუსტად კი 5 დღე, პრობაციის ბიურო თურმე უქმობდა და გასულ სამშაბათს ეს 5 დღის განმავლობაში დაგროვილი ხალხი ერთად მიაწყდა კალმახელიძის უწყებას.

საწყალი პატიმრები (დიახ, პატიმრები და არა ე.წ. „პირობითები“. თანაც ნაცებისთვის განსაკუთრებულად მომგებიანნი. თუ რატომ, ამაზე ქვემოთძ ფეხს არ იცვლიდნენ (მოიცვლიდნენ და მაგათი აჯობებდაძ! იმის მიუხედავად, რომ გამოუცხადეს — დღეს, როგორც ფორსმაჟორი, ღამის 10 საათამდე ვიმუშავებთო. არ იცვლიდნენ, რადგანაც, როგორც თბილისური ჟარგონით იტყვიან — მაგათ „ტიფა“ ენდოს! — ერთიც ვნახოთ და, შეპირებულზე ადრე დაკეტეს, რა, სადმე იჩივლებ და სამართალს იპოვნი?

ჰოდა, იდგნენ და ელოდნენ, ელოდნენ და იდგნენ. რადგან თუ იმ დღეს არ აღნიშნავდნენ საკუთარ გამოცხადებას, 100 ლარი ჯარიმა და, აქედან გამომდინარე „პასლედსტვიების“ სრული პაკეტი.

საქმე ის გახლავთ, რომ აწ განათლების მინისტრის — შაშკინის ციხეების მინისტრობისას, მსგავსი გადაცდომისთვის ჯარიმა „სულ რაღაც“ 30 ლარი ყოფილა. თანაც, როგორც წესი, „პირობითების“ გამოცხადების პერიოდულობა თვეში ერთხელ მისვლითღა შემოისაზღვრებოდა.

ხათუნი მინისტრმა ეს „ხარვეზი“ უმალ „გამოასწორა“ და კვირაში ერთხელ მისვლა გახდა სავალდებულო და რადგან ახალ კანონს არ შეიძლება უკუქმედების ძალა ჰქონდეს, ანუ, შაშკინის დროის „თვეში ერთხელზეც“ გავრცელდეს, ამაზედაც იზრუნა ქალბატონმა მინისტრმა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯარიმა ხომ 30-დან 100 ლარი გახადეს, ამასთან ერთად თუ შაშკინის დროინდელი ხარ, ანუ თვეში ერთხელ „სახმარი“, 100 ლარსაც გადაიხდი და „პახოდუ“ „გაგაკვირაშიერთხელებენ“.

თუმცა აქედან გამოსავალზეც იზრუნა „ჰუმანურმა“ მინისტრმა და იმ დარბაზში სადაც ე.წ. პრობაციონერები რეგისტრაციას გადიან, ასეთი შინაარსის განცხადება გამოაკვრევინა — **„თვეში ერთხელ გამოცხადების დაწესების საფასური შეადგენს 400 ლარს“. აი, ასე, რომ იტყვიან, მოკლედ და კონკრეტულად.**

რა არის ეს, თუ არა აფიშირებული ცინიზმი? სად არის ელემენტარული ლოგიკა მაინც? პრობაციონერების პერიოდული კონტროლის იდეა ხომ იქიდან მოდის, რომ პირობით მსჯავრდებული შეიძლება საზოგადოებისთვის იყოს პოტენციურად საშიში და მისი ადგილსამყოფელიც სისტემატურად გაკონტროლდეს? კალმახელიძის მიხედვით კი გამოდის, რომ მსჯავრდებულის საზოგადოებისთვის საშიშროება-უსაფრთხოების ალბათობა, გადახდილ-არგადახდილი თანხის პირდაპირპროპორციულია.

ანუ, გადაიხდი? — არა ხარ საშიში! არ გადაიხდი და, იარე კვირაში ერთხელ! თანაც მთელი საქართველოს მასშტაბით ერთადერთი მსგავსი ტიპის დაწესებულება თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზეა! (???ძ და ამერ-იმერი საქართველოდან ყველა (ვისაც ფული არა აქვსძ იძულებულია უკეთეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ დედაქალაქში ჩამოვიდეს!!!

არ გეგონოთ, რომ ამით შემოიფარგლება პრობაციის ეროვნული (???ძ ბიუროს ეროვნულობა და ჰუმანურობა. მართალია 400-ლარიანი „ღირებულების“ განცხადებასავით კედელზე არ არის გამოკრული, მაგრამ თურმე, როგორც გავიგე ფულადი „შეღავათები“ ამით არ მთავრდება — გადაიხადე 800 ლარი და... კვარტალში ერთხელ ხარ საშიში! 1600 ლარი და... — 6 თვეში ერთხელ, 3200 ლარის გადახდისას კი წელიწადში ერთხელ მოგიწევს გურჯაანიდან თუ ზუგდიდიდან თბილისში ჩამოსვლა. და ა.შ. ვინც ელემენტარულ არითმეტიკასთან მწყრალად არ არის, არ გაუჭირდება იმის გამოთვლა, თუ საერთოდ რა დაჯდება საზოგადოებისთვის „უსაფრთხოს“ სტატუსის ყიდვა!

აი, რა „მაყუთი“ შედის ამ მარტივი კომბინაციით ნაცების „დემოკრატიულ“ ყულაბაში. ხოლო თუ ე.წ. პრობაციონერთა ასტრონომიულ რაოდენობას გავითვალისწინებთ, ამის დათვლას ელემენტარული არითმეტიკა ნამდვილად ვერ „გაქაჩავს“. თანაც ე.წ. პირობითი სასჯელი, როგორც წესი, 5-8 და მეტ წელსაც აღწევს ხოლმე. რაც ნონსენსია ნებისმიერი, დემოკრატიაზე ოდნავი პრეტენზიის მქონე ქვეყნისთვის!

თუმცა რა დემოკრატიული პრეტენზიები ამიტყდა? ასეთი რამ კომუნისტების დროსაც არ ყოფილა. მაშინ, იმ „ბნელ დროს“, პირობით სასჯელს ე.წ. „ნადზორი“ ერქვა. არა, ფული მაშინაც ანათებდა ჯოჯოხეთს, მაგრამ ასე ურცხვად აფიშებს არ აკრავდნენ და პირობითი „სროკიც“ 2-3 წელს არ აღემატებოდა.

ახლა? რა უბედურებაა 8-10 წელი „ნადზორი“? რა და, ზემოთ შეპირებული ხომ ავხსენი თუ რატომ არიან „პირობითები“ ნაცებისათვის განსაკუთრებით მომგებიანი ბიზნესის მთავარი „გმირები?“ ამას დაუმატეთ ისიც, რომ პრობაციონერი იგივე პატიმარია. ანუ, როცა მოუნდებათ, მაშინ უკრავენ თავს კამერაში. თუნდაც ქუჩაში გადაფურთხების გამო. აღარაფერს ვიტყვი მიტინგებში მონაწილეობაზე! და ცხადი გახდება, რომ ფისკალურს გარდა, არანაკლები პოლიტიკური ეფექტიც აქვს პრობაციის ეროვნულ (???ძ ბიუროს!

აი, რატომ იდგნენ და ფეხმოუცვლელად ელოდნენ, ნაცების და პირადად ხათუნა კალმახელიძის ჯიშ-ჯილაგის „დალოცვის“ თანხლებით, საწყალი, შეურაცხყოფილი პატიმრები!

**ჯვებე ხეცია.**

***P. S.* მარტო ეს წერილი უნდა იყოს საკმარისი, რომ პარლამენტში დაისვას პრობაციის სამსახურის გაუქმების თუ არა, ამ უწყებაში საპარლამენტო გამოძიების დაწყების საკითხი! მაგრამ... თუმცა ეგ იქით იყოს და, სახალხო დამცველი სად იყო გასულ სამშაბათს? არ იყო ის, რაც იმ დღეს იქ ხდებოდა, სულ ცოტა ადამიანების ღირსების შელახვა? ან სად იყვნენ ჩემი „კოლეგა“ ჟურნალისტები „მიშავიზიებიდან“? თუმცა მაგათ რას ვერჩი, როცა ჩვენმა ე.წ. თავისუფალმა ტელევიზიებმა, „კავკასიამ“ და „მაესტრომაც“, ყურიც არ შეიბერტყეს, იმის მიუხედავად რომ პირადად ვაცნობე ეს ამბავი დავით აქუბარდიას და „მაესტროს“ საინფორმაციო სამსახურს...**

***ჯ.ხ.***

რა იქნება ხვალ?

# პოლიტიკური კრიმანჭული

**...მას შემდეგ, რაც ყველაზე საიმედო პარტნიორმა საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიასთან არცთუ ისე სახარბიელო ურთიერთობებში ამხილა, ქართულმა ოპოზიციამ არტახები შეიხსნა...**

ქართველებს პირდაპირ თუ არ უთხარი სათქმელი, ყველა სათავისოდ „ქსოვს და კერავს“, ბევრმა უკვე „ქარგვაც“ ისწავლა და ჯონ ბასს შავზე თეთრით რომ არ დაეწერა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოკრძალებულად დაუნდობელი გზავნილების შესახებ, „მრავალფეროვან ქართულ ორნამენტებში“ შესაძლოა, მნიშვნელოვანი „ფერი“ დაკარგულიყო, ისევე, როგორც — ჰააგას საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ქართულ პოლიტიკაში რომ ახალმა სიომ დაუბერა, უდავოა; მთავარია, გეგმა რას ითვალისწინებს — ქარი ჩადგეს თუ ქარიშხალი ამოვარდეს... საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია კანონის ისეთი მუხლები, რომლებიც კრძალავდა აქციების ჩატარებას ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის — სასამართლოს შესასვლელთან 20 მეტრის რადიუსში, მოქალაქეს არ აძლევდა უფლებას, ყოფილიყო მანიფესტაციის ინიციატორი, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირს გაეწია აქციის ორგანიზება. ეს მეტად პოზიტიური ცვლილება ერთგვარ თავსატეხს აჩენს — რას ემსახურება გადაწყვეტილება, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის დაბალანსებას თუ — უბალანსობას შიდა პოლიტიკაში?!



მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გეგმის ერთ შესაძლო ვარიანტზე უკვე ალაპარკდნენ ოპოზიციაში. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას მტკიცებით, პრეზიდენტს მომავლის შიში აქვს, რომელიც საზოგადოებაში განწყობების რადიკალიზაციისკენ უბიძგებს და რასაც ავტორიტარული რეჟიმის გასამყარებლად გამოიყენებს.ალასანიას მოსაზრებით, ერთ-ერთი ასეთი სქემა, რომელიც სააკაშვილთან განიხილება, ის არის, რომ სწორედ ამ რადიკალიზაციის პირობებში საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც რადიკალური მოთხოვნებით გამოვა, პრორუსულობა დააბრალოს; ეს მიიჩნიოს, როგორც რუსეთის მცდელობა, შეცვალოს ხელისუფლება და ერთადერთ პროდასავლურ პოლიტიკოსად წარმოაჩინოს თავი, რომელსაც ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების შანსი აქვს.

არადა, იმ ფონზე, როცა ამერიკული მხარე დიდძალ ფულს ხარჯავს საქართველოში დემოკრატიული ფასეულობებისთვის (რომელიც საქართველოში ისე ვითარდება, ხელსაც ვერ შეახებ და მით უფრო „წვენს ვერ გაადენინებ“), მტრად შერაცხულ მეზობელ ქვეყანას და არაკეთილმოსურნეს ისეთი ხელჩასაჭიდი და ფესვებგასადგამი ობიექტები გადავულოცეთ, მზე ხომ დაგვიბნელა და, რომ მოინდომოს, იმ მთვარესაც ჩაგვიქრობს, ბევრს რომ ღლესაც მზე ჰგონია.

სააკაშვილს კი, წინ რომ გაიხედავდა და ყველაფერს გაყიდულს დაინახავდა, არ არის გამორიცხული, მომავლის შიში დაუფლებოდა, მაგრამ ამაში ალასანია ვინ დაარწმუნა, ეგ არ ვიცი. ერთადერთი პოლიტიკოსი ხელისუფლებიდან, ვისთანაც „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა საერთო ენა გამონახა, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერიაა. რამდენჯერმე შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ გვითხრეს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ვისაუბრეთ მხოლოდ და ქვეყნის უსაფრთხოებაზეო, თუმცა ის არ უთქვამთ, ერთობლიობის რა ფორმატში განიხილეს ეს საკითხები.

რაც შეეხება ყბადაღებულ საარჩევნო რეფორმას, ეს პროცესი ჩიხში კი არ შევიდა, „სირცხვილის კორიდორში“ დგას უკვე. „ოპოზიციური რვიანი“ კი ეხვეწება ხელისუფლებას, შემოვუსხდეთ მაგიდასო, მაგრამ მმართველ გუნდს „მადა აქვს წამხდარი“. არ მოსწონთ, ბატონებო, ეს თქვენი „პურ-მარილი“ და რა ქნან, მეტისმეტად „მწარე კერძები“ გაქვთ მათთვის. მენიუ უნდა შეცვალოთ. რომ დაგიჩემებიათ, ბოლივიის გამოცდილება და გერმანული მოდელი, — მათი რეცეპტით „აჭმევთ“ თქვენ „ნაციონალურ მოძრაობას“? „რვიანის“ შეთავაზებას მარტივად ისევ „მათემატიკურ აბლაბუდას“ უწოდებენ და თავს არ შეიწუხებენ, ჩასწვდნენ მის „სირთულეებს“. არადა, პრეზიდენტ სააკაშვილს ჰგონია, ელემენტარულ მათემატიკაში მხოლოდ მისი ოპონენტები არიან მოსამზადებელი.

ვიდრე კონსტრუქციული ოპოზიცია ხელისუფლების ნებაყოფლობით „გადახრას“ ელოდება, ოპოზიციის რადიკალები მის „გადასატეხად“ ემზადებიან და ამისთვის ერთმანეთსაც კი არ ინდობენ, თან საყოველთაო თანხმობის აუცილებლობაზეც საუბრობენ.

იხ. 7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოზიცია

(მესამე გვერდიდან)

დასავლეთს იმ პიროვნებასთან ექნება საქმე, ვინც ქვეყანაში ვითარებას რეალურად აკონტროლებს. ასე იქცევა დასავლეთი ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, ბელორუსის და იმავე ლიბიის მმართველის მამართაც.

**— სათათბიროში გამოსვლისას პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის სტაბილური განვითარებისთვის ლიბერალური ექსპერიმენტები საჭირო არ არის. პუტინის ამ ტიპის განცხადებები ხომ არ ნიშნავს, რომ მისი პრეზიდენტობის შემდეგ 6 წელში ქვეყანას რაიმე სიახლე არ ელოდება?**

— დიახ, სწორედაც რომ ასეა. საქმე ის არის, რომ პუტინს კარგი პოლიტიკური ალღო აქვს, კარგად ესმის, რომ მისი პოლიტიკური მხარდამჭერები არიან ადამიანები, რომლებსაც პირობითად, საბჭოთა უმრავლესობა შეიძლება ეწოდოს. ეს ადამიანები დღესაც საბჭოთა სისტემის ღირებულებების მიმდევრები არიან, სამართალზე საბჭოთა შეხედულებები აქვთ და ასევე საბჭოთა კატეგორიებით მსჯელობენ იმაზე, თუ ვინ არის რუსეთის მეგობარი ან მტერი. პუტინმა რუსეთში გაცნობიერებულად აღადგინა ღირებულებათა საბჭოთა სისტემა და ახლა ამით საკმაოდ კარგადაც სარგებლობს. იგი ამტკიცებს, რომ 90-იან წლებში განუკითხაობა იყო, მაგრამ განუკითხაობას წერტილი დაუსვა და წესრიგი დაამყარა. პუტინი საჯაროდ კი აცხადებს, რომ არავითარი ლიბერალიზმი საჭირო არ არის, მაგრამ გონიერი კაცია და ევროპაზე ორინეტირებულ ადამიანთა სხვა ჯგუფებს აგრძნობინებს, რომ ყველაფერთან ერთად მას საკმაოდ ლიბერალური შეხედულებები აქვს. იმავდროულად იგი აცხადებს, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს, მაგრამ, რეალურად, რუსეთში, როგორც ყველაფერში და ყოველთვის, სწორედაც რომ ოფიციალურად გაცხადებული პოზიციის საპირისპიროდ ხდება.

**— ამას წინათ, რადიოსადგურ „ეხო მასკვის“ ეთერში ითქვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრი პუტინი აშშ-ში ვიზიტით მიიწვია. როგორც ჩანს, რუსეთში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებსა და იმაზე, თუ ვინ იქნება კრემლის მომავალი მმართველი, დასკვნები ვაშინგტონშიც გააკეთეს...**

— ვაშინგტონში კარგად ესმით, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მედვედევს პუტინთან შედარებით ნაკლები შანსები აქვს. ვითარება ასეთია — 10 შესაძლებლობიდან მედვედევს პუტინთან გამარჯვების მხოლოდ ერთი შანსი აქვს. როგორც ეტყობა, მედვედევი თავად შეეგუა აზრს, რომ 2012 წლის შემდეგ პრეზიდენტი არ იქნება. უდავოა, რომ მომავალი პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში პუტინი წინ გაიჭრა და სულ უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, ვიდრე — მოქმედი პრეზიდენტი.

**— თქვენი შეფასებით, რა პერსპექტივები აქვთ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კასიანოვ-ნემცოვ-რიჟკოვის პოლიტიკურ ჯგუფს?**

— თუ ვითარებას რეალურად შევაფასებთ, მათი შანსი მინიმალურია. მათ პარტიას რეგისტრაციაში იმიტომ არ გაატარებენ, რომ კასიონოვ-ნემცოვ-რიჟკოვის გაერთიანება საკმაოდ კარგი გუნდია და ხელისუფლებისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მათ ხელისუფლება არჩევნებამდეც კი არ მიიყვანს და რეგისტრაციაში არ გაატარებს. პუტინის ვერტიკალმა საკმაოდ კარგად იცის, როგორ უნდა ებრძოლოს პოლიტიკურ ოპონენტებს.

# „რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების გამწვავებას სწორედ პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტებამდე არ გამოვრიცხავ“



**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ცხინვალსა და სოხუმში იმყოფებოდა. ეს ვიზიტი რისი მაჩვენებელი უფრო იყო - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში მოსკოვი პრინციპულია თუ კრემლი ამ რეგიონებში არავის დაშვებას არ შეეგუება? ალბათ მიაქცევდით ყურადღებას, რომ აფხაზეთს ებრაელი ბიზნესმენების გარდა გერმანელი საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ...**

— აფხაზეთში ლავროვის ვიზიტი რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვრის დემარკაციის პრობლემებს უკავშირდება. მოგეხსენებათ, მხარეებმა ერთი მაღალმთიანი სოფელი ვერ გაიყვეს. გარდა ამისა, მოსკოვს არ სურს, ამ რეგიონებში მის გარდა ვინმეს ჰქონდეს საქმე. ეს კი ნიშნავს, რომ ბალაფშის თურქეთში ვიზიტის შემდეგ მასაც და სხვასაც შეახსენებენ რუსეთზე დამოკიდებულების აუცილებლობას. ამ რეგიონებთან დაკავშირებით კრემლი ასეთი ლოგიკით ხელმძღვანელობს — უკან დახევა არ შეიძლება. დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას ომის მოგების რიტორიკა და ის, რომ რუსული მხარე სწორად მოიქცა, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ლავროვის ვიზიტი სოხუმსა და ცხინვალში სწორედ ამ პოლიტიკის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად.

**— რას შეიძლება ელოდნენ რუსეთის მეზობელი ქვეყნები და კერძოდ საქართველო კრემლში პუტინის დაბრუნების შემთხვევაში?**

— რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების გამწვავებას სწორედ პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტებამდე არ გამოვრიცხავ. საქმე ის არის, რომ პუტინის მმართველი პარტია „ედინაია რასია“ და თავად პუტინი რეიტინგსა და პოპულარობას საგრძნობლად კარგავენ. ასეთ ვითარებაში პუტინის მიერ არ არის გამორიცხული ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც საბჭოთა ღირებულებების მატარებელ ადამიანებს აღაფრთოვანებს. ძნელია იმის თქმა, რა ნაბიჯებს გადადგამს კრემლი საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ ამ თვალსაზრისით პუტინის პირველად გაპრეზიდენტების წინაპერიოდი საკმაოდ ყურადსაღებია.

1999 წელს პუტინმა ბერეზოვსკის დახმარებით დაღესტანში გამარჯვებით დასრულებული პატარა ომი გაითამაშა. ბერეზოვსკიმ უზრუნველყო შამილ ბასაევის ჩეჩნური დაჯგუფების დაღესტანში შეჭრა, სადაც მას მოსკოვიდან წინასწარ გადასროლილი სპეცდანიშნულების რაზმი ელოდებოდა. 2008 წელს ეკონომიკური კრიზისი ძალას იკრეფდა, აუცილებელი გახდა რუსეთის მოსახლეობის სხვა პრობლემებზე ყურადღების გადატანა და რუსეთი 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომის ინიციატორი გახდა.

პუტინის პარტიისა და პირადად მისი რეიტინგი იმდენად დაცემულია, ძალიან ვშიშობ, პოპულარობის ასამაღლებლად სწორედ არჩევნების წინ არ გათამაშდეს კრემლისთვის სასურველი, გამარჯვებით დასრულებული პატარა ომის სისხლიანი სცენარი. ცხადია, კრემლი რეიტინგის გაზრდას ეკონომიკური პრობლემების გადაჭრით ვერ შეძლებს, ამიტომ შესაძლოა, მისთვის პატარა ომი ან ტერაქტების სერია სავსებით მისაღები რამ აღმოჩნდეს. შესაძლოა, ეს არჩევნებამდე მომგებიანი იყოს.

არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში საგარეო კი არა, საშინაო პრობლემების გადაჭრის დრო დადგება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებში, უბრალოდ, არ მიიღებს მონაწილეობას, ქვეყანაში კაპიტალისა და ინვესტიციების უკმარისობის დრო დადგება, ხოლო უკმაყოფილება ყოველდღე იმატებს, ასეთ ვითარებაშიც გამორიცხული არ არის, რომ კრემლმა საშინაო პრობლემებიდან ყურადღების გადატანა ისევ საგარეო პრობლემებით სცადოს.

**კობა ბენდელიანი**

ვითარება

# გაიჩენს რუსეთი ახალ „თავის ტკივილს?“



**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის ცენტრის დირექტორ გოგი ხუციშვილის აზრით, აფხაზეთის ავტონომიური ოლქის სტატუსით თავისთან მიერთება რუსეთის ინტერესებში არ შედის.**

როგორც მან „პირველს“ განუცხადა, „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ლიდერი რაულ ხაჯიმბა, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, სიტუაციის რაც შეიძლება, მწვავედ წარმოჩენას ცდილობს, თუმცა მისი განცხადება მაინც საყურადღებოა.

**„გასაგებია, რომ რაულ ხაჯიმბა, როგორც ოპოზიციონერი სიტუაციას ამწვავებს, თუმცა, მეორე მხრივ, ის ძალიან სწორად აფასებს ვითარებას, როცა ამბობს, რომ აფხაზეთმა შესაძლოა, დამოუკიდებლობა ისევე სწრაფად დაკარგოს, როგორც აღიარეს. რუსეთი აფხაზეთზე ყველა სფეროში ზეწოლას ახდენს, რაც რეალურად იწვევს აფხაზური საზოგადოების გაღიზიანებას ამის მიუხედავად, აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ოლქის მიერთება რუსეთისთვის დიდი რისკების შემცველი გადაწყვეტილება იქნება. გარდა ამისა, ეს სამართლებრივად ძალიან რთულია“,** — განაცხადა ექსპერტმა, რომლის აზრით, **„უფროა მოსალოდნელი, რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება სცადოს, თუმცა ესეც ნაკლებრეალურია, ვინაიდან სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ასევე პრობლემური საკითხია“.**

ამასთან, ხუციშვილი საყურადღებოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ წინა **„საპრეზიდენტო არჩევნებზე“ აფხაზეთის „პრეზიდენტობის“ მაშინდელი კანდიდატი და დღევანდელი დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ეროვნული ინტერესების დამცველად, ხოლო მისი კონკურენტი რაულ ხაჯიმბა რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლად და პრორუსულ კადრად ითვლებოდა, დღეს კი ყველაფერი პირიქითაა“.**

**„ძნელია იმის თქმა, რეალურად რა იმალება ამ როლების გადანაწილების უკან, თუმცა ეს ყოველივე აფხაზურ საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებაზე მიუთითებს“,** — დასძინა ხუციშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის მთავარი ოპონენტი, პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ლიდერი რაულ ხაჯიმბა თვლის, რომ **„არსებული ხელისუფლების პირობებში აფხაზეთი მომავალ არჩევნებამდე ვერ მიაღწევს და ის, შესაძლოა, რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური ოლქის ხარისხში აღმოჩნდეს“.**

„პირველი“

ერთობლივი პროექტები

# ტელერადიო კომპანია „თრიალეთის“ სტუმარი



**ტელერადიო კომპანია „თრიალეთში“ სტუმრად „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დირექტორი ლუის ნავარო იმყოფებოდა, რომელიც ტელეკომპანია „თრიალეთის“ ხელმძღვანელებს შეხვდა და ტელეკომპანიის მდგომარეობას გაეცნო.**

„თრიალეთის“ ხელმძღვანელობა NDI-ს დირექტორს ყოველთვის აწვდიდა დეტალურ ინფორმაციას ტელეკომპანიაზე ყოველი ზეწოლის შესახებ. ამჯერად მან უკვე პირადად ტელეკომპანიის ხელმძღვანელებისგან მოისმინა არსებული პრობლემების შესახებ. ტელეკომპანიის ხელმძღვანელებმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ დირექტორს და უთხრეს, რომ ტელეკომპანია „თრიალეთი,“ უწინდებურად, მზადაა, გააშუქოს როგორც ხალხის პრობლემები და ოპოზიციის წარმომადგენლების მოსაზრებები, ასევე, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია.

შეხვედრაზე, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ დირექტორმა ლუის ნავარომ და ტელეკომპანიის ხელმძღვანელებმა ერთობლივი პროექტების განხორციელებაზეც იმსჯელეს.

შეხვედრის შემდეგ, ლუის ნავარომ ტელეკომპანია „თრიალეთს“ ინტერვიუ მისცა. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე შესაძლო პროექტი საბოლოოდ იხვეწება, სადაც ტელეკომპანია „თრიალეთიც“ მიიღებს მონაწილეობას.

**„ჩვენ დღეს აქ ვიმყოფებით იმისთვის, რომ განვიხილოთ შესაძლო პროექტი, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის აქტივობები ადგილობრივ ჭრილში გაშუქდება.**

**ამ ეტაპზე პროექტი ყალიბდება და ვიმედოვნებთ, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში, „თრიალეთი“ გახდება ამ პროექტის სრულუფლებიანი მონაწილე. რაც შეეხება ოფისსა და ტელევიზიას, ჩვენ დიდად მოხიბლული ვართ თქვენი ტელეკომპანიით“,** — აღნიშნა NDI-ის დირექტორმა.

შეხვედრას ესწრებოდა „ინტერნიუსის“ წარმომადგენელიც, რომელიც პროექტის განხორციელებაში უშუალოდ ჩაერთვება.

**ნათა ნიბლაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ხედვა შორიდან

# ამიტრიპტილინი და... ნოსტალგია არა ის...

**მზია. 13 წელია ამერიკაშია.**

– ჩემი ნაცნობი ქართველებიდან, ვინც აქ ამერიკის მოქალაქე გახდა, არავინ აპირებს საქართველოში დაბრუნებას. ყველა ერთხმად ამბობს, რომ თუ მოვკვდებით, საქართველოში დაგვასაფლავეთო. საქართველოში მხოლოდ საფლავის ქვაზე არიან თანახმა. თუმცა ვიცი, რომ აქაც იმარხებიან. ამას წინათ ქართველი ქალი სიმსივნით გარდაიცვალა. მისმა შვილმა შედარებით იაფიანი სასაფლაო იპოვა სთეითენდ აილენდში და იქ დაასაფლავა. საქართველოში გადასვენებას იმხელა დავიდარაბა სჭირდებოდა, რომ არჩია, აქ დაესაფლავებინა. მკვდრისთვის რა მნიშვნელობა აქვს, სად დასაფლავდება. ვისაც მწვანე ბარათი ან მოქალაქეობა აქვს, მოხუცებული მშობლებიც აქ ჩამოჰყავთ და თუ აქ გარდაეცვალათ, ამერიკაშივე ასაფლავებენ. ამგვარი არა ერთი შემთხვევა მსმენია.

1995 წელს დედა ავად გამიხდა. ავთვისებიანი სიმსივნით. მეუღლემ მიმატოვა, როცა ბავშვი 3 თვის იყო. თავი ძლივს გაგვქონდა. კიდევ კარგი, შვილი ხშირად არ ავადმყოფობდა. კაპიკი ფული არ მქონდა, რომ დედაჩემისთვის წამალი მეყიდა. დედა ძალიან ადრე დაქვრივდა, როცა მე და ჩემი და 1 და 2 წლისანი ვიყავით. სიმწრით გაგვზარდა. მეორედაც შეეძლო გათხოვილიყო. ძალიან ლამაზი და თბილი ქალი იყო. კი, ვიცი, რომ ჰქონდა შანსი, მაგრამ მამა ძალიან უყვარდა, თვლიდა, რომ ეს მისი სიყვარულის ღალატი იქნებოდა. თანაც ეშინოდა, ამით ადრე დაობლებულებს ყურადღება არ მოვაკლოო. განათლება მოგვცა. უღალატო ქალი იყო. ჩვენც ასე გაგვზარდა. მარტო ღმერთმა იცის, რა ჯოჯოხეთი გაიარა. ჰოდა, ახლა დედას ახალი ჯოჯოხეთი დაატყდა თავს. არადა მე და ჩემს დას არც ისეთი ვინმე გვყავდა, ვისგანაც რაიმეს ვისესხებდით. გასაყიდი რაც იყო, ყველაფერი გავყიდე, კაპიკებად. ჩაის ტილოებიც კი. სახლში უკვე არაფერი მქონდა. ჰოდა, მაშინ გადავწყვიტე ჩემი (დედაჩემის, ჩემი და ჩემი დისძ სამოთახიანი ბინა გამეყიდა და იმ ფულით ოროთახიანი და ერთოთახიანი მეყიდა. დას თავად ჰყავდა წვრილშვილი და ქმართან ცხოვრობდა. გეგმები დავაწყვე. ოროთახიანში გადავალთ ჩემი პატარა ოჯახით და იმ ერთ ოთახიანს გავაქირავებ-თქო. მაგრამ კაცი (ქალიძ ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ჩემზეა ნათქვამი. ის, რომ მე ბინა გავყიდე, მხოლოდ ჩემმა დამ და უახლოესმა მეგობარმა იცოდა (დედას არ ვეუბნებოდითძ. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. მასზე ახლო მეგობარი არ მყოლია. მხოლოდ მან და ჩემმა დამ იცოდნენ, რომ იმ ღამეს ბინა, ფაქტობრივად, გავყიდე და რომ ის ფული სახლში მქონდა. ანუ შეთანხმების თანახმად, ამ ჩემს გაყიდულ ბინაში მყიდველი 2 თვით მტოვებდა ქირის გარეშე. ამ ორ თვეში უნდა მომესწრო ორი ბინის ყიდვა. ჰოდა, ეს ჩემი მეგობარი იმ საღამოს ჩემთან მოვიდა და ამ ფულის სესხება მთხოვა. მითხრა, რომ ისეთ-ისეთ-ისეთ ნაღდ საქმეში დებდა, რომ ამაზე წარმატებული არაფერი იქნებოდა. და თან მთელი თავისი ოჯახი მიწაში ჩადო, დაიფიცა, ჩვენი მეგობრობა დაიფიცა, სამ დღეში დაგიბრუნებო. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. უახლოესი მეგობრები ვიყავით. ჰოდა, მეც გაზეთში გახვეული ფული გამოვუტანე – 11 ათასი დოლარი. მხოლოდ 500 დოლარი ავიღე იქიდან. ამაზეც კი ბოდიში მოვუხადე. ის დღე იყო და... ჩემი მეგობარი უკანასკნელად ვნახე... ტირილისა და ვაი-უის დრო არ იყო. სასწრაფოდ ან საბერძნეთში ან ამერიკაში უნდა წავსულიყავი. ამერიკამ გაამართლა. აქ წამოვედი. ინგლისური არ ვიცოდი. არაფერი. გზა-კვალი – არანაირი. უბრალოდ, თბილისში მიმასწავლეს, რომ ვაკეში ცხოვრობდა ერთი ტიპი, რომელიც ქალებს ამერიკაში აგზავნიდა. ანუ მას ვიღაც ნაცნობი ქალი ჰყავდა ამერიკაში და იქიდან საქართველოში მოსაწვევს აგზავნინებდა. ეს ტიპი საელჩოს ამბებს აგვარებდა. რასაკვირველია, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. სასწრაფოდ კაპიკებად პაპისეული სოფელი გავყიდეთ და ამ კაცს საჭირო თანხა მივეცით. თანაც მისი ვალი 3 ათასი დოლარი კიდევ მრჩებოდა. მაგრამ გაცლიო, მითხრა. მერე ის ვიღაც „ამერიკელი“ ქართველი კენედის აეროპორტში დამხვდა და თავისთან წამიყვანა, შეთანხმებისამებრ პასპორტი მივეცი და იგი მანამ არ დამიბრუნა, სანამ მის ვალს, მასთან ცხოვრებისა და სამსახურში მოწყობის ფულს არ მივცემდი. 1 წლის შვილი ჩემს დას დავუტოვე, ჩემი გული და სულიც იქვე დავტოვე და ასე ცარიელ-ტარიელი წამოვედი. წამოვედი აბსოლუტურად უცნობ სამყაროში. გადავხტი ისე, როგორც უზარმაზარ კოსმოსში დაკარგული კოსმონავტი ხომალდიდან ტექნიკური ხარვეზის გამო რომ გადმოვარდა. რაც არ უნდა იფრინოს ამ უწონობაში, გზად კაციშვილი, სულიერი რომ არ შეხვდება. აღარ მოვყვები, თუ რა გადამხდა. არავინ დამიჯერებს მაინც, რადგან თავად მეც არ მჯერა. უბრალოდ ვიცი, რომ ცოცხალი ვარ. ორჯერ ფულთან დაკავშირებით ისევ ქართველებისგან ვიწვნიე აქ ტკივილი. ამიტომ ჩემი ნაცნობობის წრე მინიმუმადე შევამცირე. ბინა რუსებთან ვიქირავე. მწარე მოსაგონარია ეს ჩემთვის. როცა ვყვები, თითქოს სხვაზე ვყვები. რადგან ეს მე არ ვარ. მე სხვა ვარ. ახლა ორი ბინა მაქვს თბილისში. ჩემი გოგონა თინეიჯერია. კერძო სკოლაში სწავლობს. 13 წელია არ მინახავს. შარშან დეკემბერში პირველად ჩავედი საქართველოში და მივხვდი, რომ საქართველოში ველარ ვიცხოვრებ. არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა კი არა, ჩემმა დამ და დისშვილებმაც იცხოვრონ მანდ... მიყვარს ჩემი სამშობლო, მაგრამ იქ ცხოვრება არ მინდა. ანუ არ მენატრება. როცა გენატრება, ცდილობ, მონატრების პრობლემა რამენაირად გადაწყვიტო და მონატრებულთან ახლოს იყო. მაგრამ მე... მირჩევნია მისგან შორს ვიყო. მანძილზე მიყვარდეს. საქართველომ 1990-იანებში ყველა იმედი გამიცრუა. ახლაც, ფაქტობრივად, იგივეა. 90-იანებმა მაჩვენა თუ რანი ვყოფილვართ. ის, რომ ქართველი გაუტანელია, ამაშიც არც გამსახურდია, არც ედუარდი და არც მიშაა დამნაშავე. გვიყვარს ჩვენ სხვაზე გადაბრალება, ხელების შეწმენდა, პასუხიმგებლობისგან გაქცევა, რადგან საკუთარ თავს არასოდეს ვუტყდებით, თუ რანი ვართ.



თბილისში როგორც კი გაიგეს, რომ „ამერიკელი“ ვარ, არაკეთილგანწყობა ვიგრძენი... არ მომჩვენებია. ნამდვილად არ მომჩვენებია... და ისევ ფრაზა: ფული. ფული მასესხე. არადა 13 წლის წინათ დავიფიცე, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ფულს არსად, არავის, არასოდეს ვასესხებ. ამერიკაში დავარღვიე ფიცი და ლამის თავი მოსაკლავი გამიხდა. ამიტომ ჯობს ადამიანს ფული ვაჩუქო ანდა საქმით დავეხმარო. ფულს არასოდეს გავასესხებ! დიდი-დიდი 50 დოლარი. ჰოდა, გამინაწყენდნენ. ცივი წყალი დალიონ. ამერიკის მოქალაქეობა იმიტომ ვამჯობინე, რომ ეს ქვეყანა თავის მოქალაქეებზე, ავად თუ კარგად, ზრუნავს. ეს აგვისტოს ომის დროს გამოჩნდა. რა ოპერატიულად დაუკავშირდა საქართველოში ამერიკის საელჩო თავისი მოქალაქეებს და უსაფრთხო ალაგს გადაყვანა შესთავაზა. ჩემს ქართულ პასპორტში კი სულ ტყუილად წერია, რომ მე ჩემი სახელმწიფო მიცავს. სისულელეა ეს ყველაფერი. ჩემს ქვეყანას ფეხებზე ვკიდივარ. მაგრამ მე არ მკიდია. თუმცა არც ნოსტალგიის დრო მაქვს. ჩემს ასაკში სწავლა დავიწყე. იქნებ აქაური დიპლომი ავიღო. მთელი ცხოვრება ამერიკელ მოხუცებს და მომაკვდავებს ხომ არ უნდა მოვუარო? რვა მოხუცის სიკვდილის მოწმე უკვე ვიყავი. აქედან ხუთს გულის მასაჟი მე გავუკეთე. მარტომ. რა მენოსტალგიება. სადა მაქვს მაგის თავი? როგორ ფიქრობთ, ადამიანს, რომელმაც ყველაფერი დაკარგა; უცხო ქვეყანაში სამი წელი ავტოფარეხში ძაღლთან ერთად იცხოვრა; ერთი თვე მშიერ-მწყურვალი და დაუბანელი დადიოდა; რომლის წინაშეც დედამისის ტოლმა და მასზე უფროსმა მოხუცებმა სული დალიეს, მაგრამ რომელმაც საკუთარ დედის ხელიც კი ვერ დაიჭირა, როცა იგი კვდებოდა; რომელიც ძიძად მუშაობდა, სხვისი შვილები ზარდა, ღამეები ტიროდა, მერე ცრემლების გადაყლაპავა ოსტატურად ისწავლა, მაგრამ საკუთარ ერთადერთ გოგონას ატირებას ვერ „დაესწრო“, იმას რაგვარი ნოსტალგიის განცდა უნდა ჰქონდეს? ნოსტალგია ბავშვობის მოგონებებია. ესაა და ეს. ახლა? ნოსტალგია არა ის...

**ნათელა, 10 წელია ამერიკაშია.**

– სამი შვილი მყავს. საქართველოში დილა იწყებოდა ასე: დედა, სამგზავრო ფული მომე. მომეცი, მომეცი, მომეცი, მომეცი, მომეცი... ისე დავუღრიალებდი ხოლმე მათ, რომ სამივე ტირილს იწყებდა. ბავშვები მამამისს არაფერს სთხოვდნენ. საშინელი განცდაა. შენი სისხლი და ხორცი ხურდას რომ გთხოვს სკოლაში წასასვლელად და შენ ვერაფერს აძლევ... რა „ბიზნესი“ არ წამოვიწყე. ხან ტურისტული, ხან ყიდვა-გაყიდვის სააგენტო, ნამცხვრების ცხობა და რა არ... მაგრამ საითკენაც წაველი, იქითკენ წავიქეცი. საშველი არ იყო. თანაც რა საქმეც არ წამოვიწყე, სულ „კრიშა“ უნდა გყოლოდა. ვეძებდი, განა არ ვეძებდი კრიშას. მაგრამ კრიშა მეგონა და აფერისტი აღმოჩნდა. ვეძებდი პატრონს. მე ხომ უპატრონო ვიყავი. ჩემს შვილებს და ჩემს უნიათო ქმარსაც ჩემს გარდა პატრონი არ ჰყავთ. მთელი ჩემი ცხოვრება კორუფცია იყო საქართველოში. სკოლაში კორუფცია, ინსტიტუტში კორუფცია, სამსახურში კორუფცია. ჩემსობას ექიმად სადმე რომ მოწყობილიყავი ჯანდაცვის სამინისტროში საჭირო კაცისთვის და სამედიცინო დაწესებულების მთავარი ექიმისთვის 7-ათასი დოლარი უნდა გადამეხადა. თვეში კი 100 ლარიც არ იყო ხელფასი. იმასაც თვეობით კი არა, წლობით არავინ გაძლევდა. საავადმყოფოშიც კი ვინმე ნაცნობი გჭირდებოდა, რომ ავადმყოფი ახლობელისთვის ნორმალურად მოევლოთ. მერე ვიღაცამ სასწრაფო დახმარების სამსახური გახსნა. ექიმების შერჩევას ვიწყებთო. მე და ჩემი ორი მეგობარი სასწრაფოდ იქ გავქანდით. მაგრამ ეგ რა „სასწრაფო დახმარება“ იყო? არა წამალი, არა საწვავი. არაფერი. ორი თვე ვიმუშავე, კაპიკები ავიღე. არადა ეს „შარაშკინა კანტორა“ აშკარა ფულის გასათეთრებლად იყო შექმნილი. ბოსებმა დიდძალი ფული გააკეთეს და მერე დახურეს.

ამდენი ხანია ამერიკაში ვარ, რაღაც მცირედი დანაზოგი გამიჩნდა. ერთი წლის წინათ თბილისში კომერციული ფართი ვიყიდე. მგონი, ასეთი ფასები ამერიკაშიც არაა. აფთიაქი გავხსენი და იმდენი სიმწარე ვნახე, ვინანე. გავყიდე ეს აფთიაქი ზუსტად იმ ფასად, როგორადაც ვიყიდე. თხა ვიყიდე, თხა გავყიდეს ვარიანტში. ჰოდა, ფული ისევ აქეთ წამოვიღე, აქაურ ბანკში სესხიც ავიღე, რომელსაც ნელ-ნელა გადავიხდი თუ დამცალდა და „დაუნფეიმენტით“ ბინა შევიძინე. სამი შვილის პატრონი ვარ. რა ვიცი, როდის დამჭირდება. ნოსტალგია? არა, ნოსტალგია არა მაქვს. არაფერი კარგი არ მახსოვს ჩემი ქვეყნიდან. მთელი ცხოვრება არ გამიხარია. ბავშვობა მქონდა კარგი, მაგრამ მას მერე რაღაც სიბნელის განცდა მაქვს. საქართველოში ახლაც ბნელა, თუმცა გზები გაჩახჩახებულია. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ადამიანების ტვინებში ბნელა. ახლა არ ვიცი, ვარ თუ არა ქართველი, რახან საქართველო არ მენატრება. არ მცალია უბრალოდ ამისთვის. უწინ დილას რომ ვიღვიძებდი, ჩემს სახლში, დიდუბეში მეგონა თავი. ახლა – არა. უბრალოდ, ხანდახან ძილის წინ თუ გამკრავს რაღაც. ნოსტალგია არაფრის კეთებას ნიშნავს. მე კი არ მინდა არაფრის კეთება. ყველაფრის მიუხედავად ხალისიანი და ოპტიმისტი ადამიანი ვიყავი... თუმცა 1990-იანებში ანტიდეპრესანტებზე შევჯექი. ერთადერთ წამალს, რასაც საქართველოში ვსვამდი, ეს ამიტრიპტილინი იყო. ანტიდეპრესანტი. ჰოდა, ამიტრიპტილინის გახსენება სამშობლოს მახსენებს. ეს ერთადერთი იყო, რასაც საქართველოდან მიგზავნიდნენ. რის გამოგზავნასაც ჩემიანებს ვთხოვდი. აქ ექიმიცა და წამალიც ძალიან ძვირია. ერთი პერიოდი დღიურებს ვწერდი. ჩემი შვილებისთვის. მერე როცა ვიგრძენი, რომ საქართველოს მოქალაქეობა აღარ მინდოდა, დავხიე ეს დღიურები. რატომ? მინდა წინ ვიყურო. აღარ მინდა ამიტრიპტილინის სმა. ამერიკაში ცუდი ადამიანი თუ შემხვდა, ამას არ განვიცდი, მაგრამ როცა საქართველოში ჩავდივარ, იქაური სიტუაცია დეპრესიაში მაგდებს, ისევ მეგობარ ექიმს ვთხოვ, რომ ამიტრიპტილინი გამომიწეროს... მინდა ძალიან, ძალიან შორს გავიქცე და არასოდეს მოვიხედო უკან, თორემ მარილის სვეტივით გავქვავდები. ოჰ, როგორი ნაწვალები ვარ ამერიკაში! მაგრამ არ დავიკარგე. ცოცხალი ვარ. სრულიად უცხო ქვეყანაში. საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ახლა ცოცხალი არ ვიქნებოდი, ალბათ. ჩემი ბიჭები ალბათ, ციხეში იქნებოდნენ. ნარკომანები, ან ქურდები, ან ქუჩაში... არ ვიცი. არც კი წარმომიდგენია, თუ როგორ ვცხოვრობ ჩემთვის უკვე უცხო ქვეყანაში... საქართველო უცხოა ჩემთვის. ბუნება ამერიკაშიც ძალიან ლამაზია. ადამიანები აქაც არიან კარგები და ცუდები. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი თუ რა საშინელი გზა და რა მძიმე გამოცდაა ემიგრაცია, არავის ვურჩევ მას, მაგრამ მაინც ვიტყვი: ამერიკამ ადამიანად დარჩენის შანსი მომცა. ჩემმა სამშობლომ – არა. მშვიდობით, ნოსტალგიავ! მე არასოდეს დავბრუნდები წარსულში...

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 78

◉ ინფორმაცია

## სომხეთის სამხედრო ბაზა საქართველოს გავლით რუსეთიდან ტვირთს ვერ შეიტანს

**საქართველო და სომხეთი რუსული სამხედრო ტვირთების ტრანზიტის შეწყვეტის საკითხს განიხილავენ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის სომხეთში ვიზიტის ერთ-ერთი ძირითადი თემა რუსული სამხედრო ტვირთების ტრანზიტის გზით საქართველოდან სომხეთის სამხედრო ბაზაზე გადატანის შეწყვეტაა.**

**ამ საკითხს გრიგოლ ვაშაძე თავის სომეხ კოლეგა ედუარდ ნალბანდიანთან საუბრისას განიხილავს.**

**ცნობისთვის, ცოტა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილებით, ქართველმა პარლამენტარებმა 2006 წლის 31 მარტს რუსეთთან მიღებული შეთანხმება გააუქმეს, რაც საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსული სამხედრო ტვირთების გატანას ითვალისწინებდა.**

**მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შემდეგნაირად განმარტა: რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინტერესებიდან გამომდინარე, სახმელეთო და საჰაერო სივრცის გამოყენებით, ტექნიკურ-მატერიალური საშუალებებითა და პერსონალით სომხეთში მდებარე რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის უზრუნველყოფა ხდებოდა. რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიის გამოვლენის შემდეგ კი საქართველომ ამ შეთანხმების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. კალანდაძის თქმით, დოკუმენტის ვადა ისედაც ნოემბერში იწურება, რაც ქართულ მხარეს ავალდებულებს, საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ რუსეთი ექვსი თვით ადრე გააფრთხილოს.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ეს ოცი წლის წინათ იყო



**გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი თბილი დღე. ალბათ, ასეთად დამამახსოვრდებოდა 1991 წლის 29 აპრილი, ის ტრაგედია რომ არა, დამოუკიდებლობის ნარ-ეკლიან ბილიკზე შემდგარ საქართველოს რომ დაატყდა თავს 13 საათსა და 13 წუთზე (დიახ, სწორედ ეს საბედისწერო დრო აღიბეჭდა ონის რაიონული გაზეთის რედაქციის კედლის საათზე).**

დამანგრეველ მიწისძვრაზე მოგახსენებთ, წამებში რომ იავარქმნა ზემო იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის მნიშვნელოვანი ნაწილი და თაობებს მაშინდელი ტრაგედიის დამანგრეველ შედეგებზე დაფიქრება მემკვიდრეობით გადმოსცა.

გამოვიტანეთ კი სათანადო დასკვნები ბუნების იმდროინდელი სას-

# წამებში იავარქმნილი რაჭა-ლეჩხუმი და იმერეთი...

ჯელიდან? – აი კითხვა, რომელიც, ვფიქრობ, დღესაც აქტუალური და პასუხგაუცემელია.

* * *

იმ დღეებში თბილისში ლეგენდარული მიშა მესხი დაკრძალეს და გაზეთ „ონის“ რედაქტორის მოადგილე ზაურ კერესელიძე როლში შეჭრილი მიამბობდა, რა მონუსხული ადევნებდა თვალს სტუდენტობისას „მტკვრისპირელი გარინჩას“ შთამბეჭდავ თამაშს.



ბუნებრივია, მოსაუბრის ემოციები მეც გადმომედო და არც მიმიქცევია ყურადღება მომენტალურად მომხდარი კლიმატური მეტამორფოზისთვის: მულტფილმებისა არ იყოს, პაპანაქება სიცხე უცებ ამოვარდნილმა ქარმა შეცვალა, მიწისქვეშეთიდან ტანკისმაგვარი გუგუნი გაისმა, ასფალტის ერთი მხარე ჩაიზნიქა, მეორე – ამოიზნიქა და ირგვლივ ყველაფერი მტვერში ჩაიკარგა.

ამ დროს შემომესმა ვიღაცის შეძახილი – ოსები დაგვესხნენ თავსო, მაგრამ როცა ბურუსი გაიფანტა (ვიმეორებ, ყველაფერი წამებში მოხდაძ, აღმოჩნდა, რომ ადამიანზე გაცილებით ძლიერ მბრძანებელს უძიებია შური პოლიტიკურ კატაკლიზმებში ჩაბმულ ქვეყანაზე.

კიდევ კარგი, რომ დაწესებულებებსა და სკოლებში შესვენება იყო, თორემ მსხვერპლი ბევრად უფრო დიდი იქნებოდა, თუმცა საზოგადოებისა და, უპირველესად, ოჯახებისათვის დღემდე მოუშუშებელ იარად რჩება მაშინ ჩაფერფლილი ის რამდენიმე ძვირფასი სიცოცხლეც (ამ შემთხვევაში მხოლოდ რაჭას ვგულისხმობძ. ღმერთმა აცხონოს თითოეული მათგანის სული.

* * *

საფუძვლიანად ითვლება, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ერი და ბერი ისე არასოდეს ყოფილა ერთ მუშტად შეკრული, როგორც 1989 წლის აპრილის მღელვარე დღეებში. ეს ასეცაა, მაგრამ არანაკლებ დასაფასებელია ის აღმშენებლობითი როლი, რომელიც მაშინ ეროვნულმა ხელისუფლებამ შეასრულა.

მოგეხსენებათ, ყველაფრის დაძლევა შეიძლება, როცა საქმეს ჯიგრითა და, უპირველესად, მამულიშვილობის შეგრძნებით შეებმები. სწორედ ასე მოხდა მაშინაც, როცა ათასობით დაზარალებული უსახლკაროდ დარჩა და ღამისთევა ჩაბნელებულ ქუჩებში უწევდა. მათთვის ერთადერთ ნუგეშად ის ყურადღება იქცა, დღენიადაგ რომ განიცდიდნენ როგორც მთავრობის წევრთაგან, ისე რიგითი მშენებლებისგან, ათასობით რომ მოაწყდნენ ნანგრევებად ქცეულ რაჭას.

ახლა, როცა ამდენი დრო გავიდა მათ მიერ მოხდენილი სასწაულიდან, განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ როგორც რაიონული („კავშირაბმშენის“ თავკაცი ავთანდილ ჩალაძეძ და საქალაქო (ქუთაისის სამშენებლო ტრესტის მმართველი თამაზ ბერეკაშვილიძ სამშენებლო კომპლექსების ხელმძღვანელები, ისე თბილისის მერი თამაზ ვაშაძე, განათლების მინისტრი ელიზბარ ჯაველიძე და მეუფე ამბროსი ქათამაძე, რომელთა ტიტანური ძალისხმევითაც დაზამთრებამდე დარჩენილ თვეებში აღდგა უამრავი შენობა-ნაგებობა, მათ შორის მოსახლეობის საცხოვრებელი კერები, სკოლები, საავადმყოფოები, ეკლესიები და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი.

ეს სათქმელადაა ადვილი, თორემ თუ გავიხსენებთ ახალფეხადგმული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მაშინდელ მწირ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, დიახაც გმირობად უნდა შეფასდეს, რაც მოესწრო. ამიტომ ნურავინ დაადანაშაულებს მათ, ვინც სამაგალითო პასუხისმგებლობითა და შემართებით დაწყებული საშვილიშვილო საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და საკმაოდ ბევრ ოჯახს წლების განმავლობაში მოუხდა ვაგონებში ცხოვრება – იმ დღეებში მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ახალ შობა-ახალ წელს ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალებით შეხვდებოდა და საგაზაფხულოდ ნავარაუდევი აღდგენითი სამუშაოების განახლება აღარავის გაახსენდებოდა...

**გია პლატონიშვილი.**



***P. S. მაშინ ონში მრავალი სტუმარი ჩამოვიდა, მათ შორის სეისმოლოგებიც. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა, თუ არ ვცდები, პეტერბურგელმა პროფესორმა, არ გამორიცხა, რომ მიწისძვრა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ეშერის გასაიდუმლოებული ლაბორატორიის დახმარებით, სხვათა ჭკუის სასწავლებლად გამოეწვია, თუმცა ისიც დასძინა, რაჭის ქედი სეისმურად აქტიური ზონააო.***

***ვინ იცის?..***

***გ. პ.***

## კვლევა

# რა საერთო აქვთ სასამართლოებს სიტყვის თავისუფლებასთან?

**სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ 2008-2011 წლების საერთო-საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკის კვლევის შედეგების წარდგინება გაიმართა.**

ეს კვლევა, ფაქტობრივად, მეორე გამოცემაა, რომელიც ფონდმა „ღია საზოგადოების ინსტიტუტმა“ მოამზადა. კვლევა მოიცავს 2008-2010 წლების საქართველოს ყველა სასამართლო გადაწყვეტილებას: კვლევაში გაანალიზებულია არსებული ტენდენციები და ხარვეზები, ისეთი საკითხები, როგორიცაა ინფორმაციის დამუშავების ვალდებულება, პერსონალური მონაცემების დაცვა, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოება.

წიგნში კვლევის ის შედეგი აისახა, რომელიც უშუალოდ მიმართულია სასამართლოს გადაწყვეტილებების მონიტორინგის განსახორციელებლად, და წინა კვლევების გაგრძელებაა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყურადღების მიღმა არ ტოვებს სასამართლოს არც ერთ გადაწყვეტილებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას ეხება. კვლევის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეისწავლეს, რომელიც 2011 წლამდე ინფორმაციის თავისუფლებას უკავშირდებოდა.

კვლევა მიზნად ისახავდა, გამოერკვია რა სტატისტიკა არსებობს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით? რა სტანდარტი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციის თავისუფლების მხრივ? რა საერთო აქვთ სასამართლოებს ინფორმაციის თავისუფლებასთან?

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა ინფორმაციის მოძიებას სხვადასხვა სახის დაბრკოლება ახლდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები სამინისტროებიდან ხელფასებისა და პრემიების ზუსტ რიცხვს მოითხოვდნენ, ამის გამო საჭირო ხდებოდა დამატებითი განცხადებების ან ადმინისტრაციული საჩივრების გაგზავნა, თუმცა ხშირად, გაუგებარი მიზეზების გამო, სამინისტროების უმრავლესობა ინფორმაციას არ აწვდიდა.

პრეზენტაცია 25 წუთს გაგრძელდა და მოწვეულ სტუმრებს შორის როგორც არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ.

**ირინა ოზოლაშვილი**

## რა იქნება ხვალ?

# პოლიტიკური კრიმანჭული

**(მეოთხე გვერდიდან)**

ერთობის ფარგლებში, საკუთარი რევოლუციური შესაძლებლობების დემონსტრირებასაც ცდილობენ და, ვისაც გჯერათ, დაგველოდეთო, აცხადებენ. პირობას დებენ, რომ ლოდინი მხოლოდ რამდენიმე თვეს გასტანს. რადიკალიზმში „ქართულ პარტიას“ და „სახალხო კრების“ ორგანიზატორებს ბადალი არ ჰყავთ, ამაზე აღარავინ დავობს. სადავოა მხოლოდ მათი „ტერიტორიული მთლიანობა“, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. არადა „შეფიცულებს“ „დაგინებულებიც“ თუ არ შეუერთდნენ და თავდაცვის ყოფილი მინისტრი საქართველოს საზღვრებს თუ მაინც არ მოუახლოვდა, საგანგებოდ შექმნილი რაზმები ფრონტის მიღმა დარჩებიან, ხოლო ირაკლი ოქრუაშვილს „ნაფტალინიც“ ვეღარ უშველის. თუმცა, ამასობაში ნინო ბურჯანაძემ უნდა აღიაროს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლებამ დანაშაული ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე და 2008 წლის 5 იანვარს არჩევნები გააყალბა. მაშინ მას „ქართული პარტია“ ერთ ხელს გაუწვდის, მეორე ხელს კი აუცილებლად შემოუნახავს „ოპოზიციურ რვიანს“ და განსაკუთრებით, ირაკლი ალასანიას. სწორედ მასზე თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომ „ქალწულობა მიშამ დააკარგვინა, თანაც ისე სწრაფად და იაფად, თავადაც ვერ მიხვდა“.

„თავისუფალი დემოკრატების“ დიპლომატი ლიდერი ვალში არ დარჩენილა არც ერთ მოწინააღმდეგესთან.მან პრეზიდენტს „ზნედაცემული პოლიტიკოსი“ უწოდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ის ქვეყნის იმიჯის შელახვაში დაადანაშაულა, ხოლო ოქრუაშვილს – „უღირსი და მხდალი“, თან დაამატა, პირისპირ რომ შევხვდები, პასუხს მერე გავცემო. მიუხედავად ამისა, მზად არის, ითანამშრომლოს „ქართულ პარტიასთან“, თუკი ამ უკანასკნელის მიზანი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლა იქნება.

ასე რომ, წინ დიდი პოლიტიკური სანახაობა გველოდება, მაგრამ ეს ყველაფერი ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელის გარეშე – ბოლოს, ჟურნალისტებს გვითხრა, არც საარჩევნო რეფორმის პროცესის მჯერა და არც რევოლუციისო, თან დაიბარა, ვინც რომელ გზას აირჩევს, იმას მიაწვესო, მე აგერ წამოვწვები ცოტას, ფეხებს დავასვენებო, მართალია სხვებს ვერ მოვტეხე, მარა მე სულ ტყუილუბრალოდ დამატყდაო...

* * *

გასულ კვირას თბილისი ეგვიპტის ქვიშამ მოინახულა. ისეთი მაგიური ძალით წინასწარმეტყველებს ზოგიერთი პოლიტიკოსი საქართველოში ეგვიპტის განმეორებას, რომ იქაურმა მიწამ ვეღარ მოისვენა. სტუმარს, ისტორიაში პირველად, ვერ დახვდნენ ქართველები სათანადოდ, ეგვიპტური მიწა „ტალახიან წვიმად“ მონათლეს და ყველამ შეაჩვენა, ვისაც კი მისი წვეთი მოხვდა. იმდენი ლაქა დატოვა ქურთუკებზე, ქოლგებზე, მანქანებსა თუ სახლებზე... დიდხანს ვერ იშორებდნენ. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენთან „ვერ წავა“ ეგვიპტე...

**ხათუნა კილურაძე.**
**ინტერპრესნიუსი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: საქართველოს გვერდის ავლით

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი შეიძლება გახდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი საქართველოს თანხმობის გარეშე. ლავროვის განცხადება გაკეთდა აფხაზეთში მისი ვიზიტის დროს. მაგრამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელმაც ისურვა, არ დაესახელებინათ მისი ვინაობა, „ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურს დაუდასტურა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლის მსურველ ქვეყანას აუცილებლად სჭირდება ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა.**

ყველა დანარჩენი საერთაშორისო ორგანიზაციისგან განსხვავებით, რომლებიც გადაწყვეტილებებს ხმების უმრავლესობით ღებულობენ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გადაწყვეტილებას ღებულობენ მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე.

კანდიდატი ქვეყანა ვალდებულია, მიიღოს თანხმობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისგან, ამისთვის საჭიროა ორმხრივი მოლაპარაკების მოწყობა კერძო სახელმწიფოსთან. პროცესი ხშირად მიმდინარეობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და რთულად. მაგალითად, მოლაპარაკება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში პოსტსაბჭოთა სახელმწიფო ყირგიზეთის შესვლის შესახებ გავიდა რეკორდულად მოკლე დროში (ორი წლისა და ათი თვის განმავლობაში), ჩინეთს კი ამისთვის 15 წელი და 5 თვე დასჭირდა.

სერგეი ლავროვს არ დაუზუსტებია, თუ როგორ შეიძლება აუარო გვერდი „ქართულ ბლოკს“, მაგრამ დაუმატა, რომ ეს სქემა არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებს.




რუსეთმა მუშაობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლისთვის დაიწყო 1993 წლის ბოლოს. მას შემდეგ პერიოდულად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი წევრობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში სულ მალე რეალური გახდებოდა. სავსებით რეალურად ეს იყო (ყოველ შემთხვევაში, შესაბამის განცხადებებს აკეთებდნენ რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელები) 2002, 2005 და 2009 წლებში.

2009 წელს მოხდა სიუჟეტის მოულოდნელი შემობრუნება: რუსეთმა შექმნა საბაჟო კავშირი ყაზახეთთან და ბელარუსთან და განაცხადა, რომ სურს, შევიდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში კოლექტიურად (ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, ვინაიდან ყველა სახელმწიფო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შედის ინდივიდუალური წესით). მაგრამ მოგვიანებით გამოცხადდა, რომ რუსეთი შევა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ინდივიდუალურად.

საქართველოს თანხმობის მიღების პრობლემები დიდი ხანია არსებობს. 2002 წელს საქართველო პროტესტს აცხადებდა რუსეთის კომპანიების მოქმედებების წინააღმდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

შემდეგ მნიშვნელოვან წინაღობად იქცა სავაჭრო სანქციები, რომლებიც შემოიღო მოსკოვმა ქართულ საქონელთან დაკავშირებით. 2008 წელს საქართველო გამოვიდა მოლაპარაკების პროცესიდან, რითაც მოახდინა რეაგირება რუსეთის გადაწყვეტილებაზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ეკონომიკური კავშირების აქტივიზაციასთან დაკავშირებით. ამჟამად რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაში მთავარი პრობლემა არის საკითხი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საბაჟოებზე კონტროლის საკითხთან დაკავშირებით.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია უნიკალური სტრუქტურაა. ამჟამად მის შემადგენლობაში შედის მსოფლიოს 153 სახელმწიფო (შედარებისთვის, გაეროში – 192). რუსეთს, ისევე როგორც აზერბაიჯანს, ბელარუსს, ყაზახეთს, ტაჯიკეთსა და უზბეკეთს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში აქვს მეთვალყურის სტატუსი. ერთადერთი სახელმწიფო ყოფილი სსრ კავშირიდან, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ოფიციალური კონტაქტი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან – ეს თურქმენეთია. რუსეთი – ეს არის ერთადერთი ქვეყანა „დიდი ოცეულისა“, რომელსაც არ ჰყავს ოფიციალური წარმომადგენლობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

ბარაკ ობამას ადმინისტრაცია არაერთგზის აღნიშნავდა, რომ მხარს უჭერს რუსეთის სასწრაფო მიერთებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან.

VOA NEWS

## დედამიწის ზურგზე



**„ალ-ქაიდას“ ლიდერმა ჯიხადის სახელით თავი იმპოტენტად იქცია**

42 წლის აბდალ-რახიმ მუხამად ჰუსეინ აბდახ ალ-ნაშირიმ აღიარა, რომ გაიკეთა ინექცია, რაც ხელს უწყობს „იმპოტენციას“. ბენ ლადენთან ერთ-ერთმა ყველაზე დაახლოებულმა ტერორისტმა განაცხადა, რომ მას ასე მეტი დრო შეუძლია დაუთმოს ბრძოლას არაერთგულებთან და აღარ დაუთმოს მეტი დრო ქალებს. მან ბოევიკებს რეკომენდაცია მისცა, მიბაძონ მას.

**პუტინი სტოკჰოლმში: მან გააოცა იქაურები მდიდრული ავტომობილით და შვედებს აგრძნობინა, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი 2012 წელს**



შვედეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ უშიშროების ზომებმა, რომლებიც მიღებული იქნა პუტინისთვის, ქაოსი გამოიწვია გზებზე, რაც კიდევ უფრო გააღრმავა პრემიერმა თავისი დაგვიანებით. მან მეფესთანაც კი დაიგვიანა, ვისი უბრალო მანქანაც კი დაჩრდილა პუტინის „მერსედესმა“. პრემიერის სახუმარო სიტყვები 2012 წლის არჩევნების შესახებ შვედეთში მიიღეს უკიდურესად მკაფიოდ.

**ჩინეთის მოსახლეობა 1,34 მილიარდამდე გაიზარდა, ქალაქებში 666 მილიონი ჩინელი ცხოვრობს**



გასული ათი წლის განმავლობაში ჩინეთის მოსახლეობა გაიზარდა 73,9 მილიონი კაცით (რუსეთის მოსახლეობა ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა). ჩინეთში დაფიქსირდა გარკვეული ცვლილებები: მოსახლეობა „დაბერდა“, ოჯახები კი შემცირდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სატიტულე ერი ინარჩუნებს ბატონობას – აი რუსეთის სამხრეთში კი რუსეთს აშინებს კავკასიელთა მოძალება.

**რუსეთმა თავისას მიაღწია: გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო, მიეღო განცხადება სირიასთან დაკავშირებით**

სხდომის მოწვევის ინიციატორები გახდნენ მთელი რიგი დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ, მიეღწიათ განცხადების მიღებისთვის. იგი გმობდა ამ სახელმწიფოს ხელისუფალთა მოქმედებას. მაგრამ ამგვარი ნაბიჯის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსეთის, ჩინეთისა და საბჭოში ერთადერთი არაბული ქვეყანა ლიბანი.



# მოსკოვმა ცხინვალს სიმეტრიულად უპასუხა

**ჩვენი გაზეთისთვის ცნობილი გახდა სკანდალური ინციდენტის წვრილმანები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის ახლო წრიდან მაღალი რანგის ჩინოვნიკი ზურაბ კაბისოვი. იგი არის სამხრეთი ოსეთის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარე. ჩინოვნიკი შეიძლება გაასამართლონ სისხლის სამართლის თვალსაზრისით რუსეთის ტერიტორიაზე ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებისთვის.**

ჩრდილოეთი ოსეთის პროკურატურაში გაიგზავნა ვიდეომასალები ეპიზოდისა, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 31 მარტს რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვარზე საკონტროლო-გამტარ პუნქტ „ქვედა ზარამაგთან“. როგორც მასალებიდან ჩანს, იქ დაახლოებით 14 საათზე მოხდა კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის აღდგენის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელს ზურაბ კაბისოვსა და რუს მესაზღვრეებს შორის, რომლებიც ამ პოსტზე მსახურობენ. თანაც კონფლიქტის ინიციატორი იყო სამხრეთოსეთელი ჩინოვნიკი. კაბისოვი, როგორც ამტკიცებს რუსეთის მხარე, არ დაემორჩილა სასაზღვრო განწესის კანონიერ მოთხოვნებს და მესაზღვრეებს საჯარო შეურაცხყოფა მიაყენა. კონფლიქტში ჩაერთვნენ კაბისოვის მცველებიც, ერთ-ერთი მათგანი თავს დაესხა მესაზღვრეს და ცდილობდა მისთვის იარაღის წართმევას, ამ დროს მას „სხეულის დაზიანებაც მიაყენა“.

ეს მოქმედება ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 318 მუხლს, ნაწილი 1: „ძალადობის გამოყენება, რაც არ არის სახიფათო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ან ძალადობის გამოყენების საფრთხე ხელისუფლების წარმომადგენლის წინააღმდეგ თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულების დროს“. ამის შესახებ მოსკოვმა აცნობა ცხინვალს ამ კვირაში. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით გაგზავნა ნოტა არასასიამოვნო ინციდენტთან დაკავშირებით.

სხვათა შორის, მოჩანს საინტერესო პარალელი. გასულ კვირას სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს რუსეთის ელჩი ელბრუს კარგიევი. ელჩის გამოძახების საბაბი გახდა ინციდენტი, რომელიც მოხდა ცხინვალში პოლიტიკისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეების დელეგაციის ყოფნის დროს. დელეგაციას სათავეში ედგა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ჯამბულატ თედეევი. სამხრეთი ოსეთის გენერალურმა პროკურატურამ თედეევის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ხელისუფლების წარმომადგენლების შეურაცხყოფისთვის მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს. ამასთან რუსეთის საელჩომ ცხინვალში უკვე განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე თედეევს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეპიზოდი კაბისოვთან დაკავშირებით მოხდა თითქმის ერთი თვის წინათ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად სურდათ მისი მიჩქმალვა, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს, საქმეს უკვე მისცენ მსვლელობა ცხინვალის მოქმედების „სიმეტრიული პასუხის“ სახით.

МК

# რუსეთში სტალინის პოპულარობა სწრაფი ტემპით იზრდება

**იმ რუსეთელების რიცხვი, რომლებიც იწონებენ იოსებ სტალინის პოლიტიკას, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაიზარდა. ექსპერტები ამას უკავშირებენ ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი უკმაყოფილების ზრდას და „დესტალინიზაციის“ კურსის ჩავარდნას, რაც ამ ცოტა ხნის წინათ გამოაცხადეს სამართალდამცველებმა.**

გამოკითხვის თანახმად, წლითიწლობით სულ უფრო იზრდება იმ რუსეთელების რიცხვი, ვისაც სტალინის როლი რუსეთის ისტორიაში დადებითად მიაჩნია: თუ 2007 წელს ასეთი ხალხი 15 პროცენტი იყო, ამ გაზაფხულზე მათი რიცხვი 26 პროცენტამდე გაიზარდა.

გამოკვლევის ცენტრის გენერალური დირექტორი ვალერი ფიოდოროვი მიიჩნევს, რომ ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია – საქმის მდგომარეობა ქვეყანაში, სადაც ბალმასკარადს უქლევება კორუფცია და აღარ არის დისციპლინა.



კიდევ ერთი მიზეზი – გამარჯვება დიდ სამამულო ომში, რაც ბევრის შეგნებაში დღემდე დაკავშირებულია სტალინის პიროვნებასთან.

სოციოლოგები, ისტორიკოსები და პოლიტიკოსები მთლიანად იზიარებენ ფიოდოროვის აზრს.

ტელეჟურნალისტი ნიკოლოზ სვანიძე გენერალისიმუსისადმი სიმპათიებს „საპროტესტო კენჭისყრას“ უწოდებს.

„როდესაც ხალხი ხმას აძლევს სტალინს, – უთხრა მან ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურს, – ისინი ხმას აძლევენ დღევანდელი სინამდვილის წინააღმდეგ: დანაშაულების, კორუფციისა და ხელისუფლების უსუსურობის წინააღმდეგ“.

პოლიტოლოგი დიმიტრი ანდრეევი კიდევ უფრო მკვეთრია შეფასებებში: „მთავარი მიზეზი – ეს არის ამჟამინდელი რეჟიმის მდგომარეობა, რომელიც არის კორუმპირებული, გახრწნის გზაზე მდგომი, იმპოტენტური, ყოველმხრივ უუნარო. საითაც უნდა გაიხედო, ყველგან დამარცხებაა“.

ზოგიერთი ექსპერტი სტალინის პოპულარობის ზრდას მიაწერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც მრავალტირაჟიანი გამოცემებით ადიდებენ მის სახელს, აკრიტიკებენ სახელმწიფო ოფიციალურ პოზიციას, რომელიც ორაზროვანად რჩება.

ერთი მხრივ, ეს არის პრემიერი ვლადიმერ პუტინი, რომელიც მოგვიწოდებს, არ ვისაუბროთ „ქვებ-ბი“ ბელადს, მეორე მხრივ – ეს არის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, რომელიც რუსეთის ისტორიაში სტალინის როლის შესახებ უკიდურესად მკაცრ განცხადებებს აკეთებს.

ელენა პრონინას სიტყვებით ფსიქოანალიზის ინსტიტუტიდან, ხელისუფლება მეტად ფრთხილია საბჭოთა წარსულის სიმბოლოებთან დაკავშირებით.

„ჯერჯერობით ის არ არის გადაცემული ანათემას, არ არის დაგმობილი საბოლოოდ, სანამ რაიმე ხვრელები ჯერ კიდევ რჩება, ახალგაზრდობაც კი შეიძლება შეცდეს, ვინაიდან მას უკვე აღარ ახსოვს ის საშინელებანი, რაც იყო“, – თქვა ელენა პრონინამ.

ამ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტთან არსებულმა სამოქალაქო საზოგადოების და ადამიანის უფლებათა განვითარების საბჭომ შეიმუშავა პროგრამა „ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფისა და ეროვნული შერიგების შესახებ“. ჟურნალისტებმა პროგრამას უმალვე უწოდეს „დესტალინიზაციის გეგმა“.

სხვა რამეებთან ერთად ამ პროგრამის ავტორები გვთავაზობდნენ, ავუკრძალოთ იმ პირებს, ვინც საჯაროდ უარყოფს სტალინიზმის დანაშაულებს, იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში.

მაგრამ, თუ გამოკითხვის შედეგებით ვიმსჯელებთ, რუსეთელების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა „დესტალინიზაციის“ კურსს. 45 პროცენტი მას მიიჩნევს მითად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ რეალურ ამოცანებთან, რაც ქვეყნის წინაშე დგას.

ვალერი ფიოდოროვი ამბობს, რომ ეს ციფრები მოწმობენ იმის შესახებ, რომ რაც მეტი შინნაზარდი დესტალინიზატორი იმუშავებს დესტალინიზაციაზე, მით უარესი დამოკიდებულება იქნება მათდამი და მით უკეთესი იქნება დამოკიდებულება სტალინისადმი.

სხვათა შორის, ყველა როდი მიიჩნევს ანტისტალინურ დისკურსს მარტივად, და მონაგონად. ნიკოლოზ სვანიძე მართალია, აღიარებს, რომ „დისკუსია სტალინის გარშემო აინტერესებს არა მხოლოდ გაუნადგურებელ ინტელიგენციას და პროფესიონალ ისტორიკოსებს“, მაგრამ უმატებს, რომ ეს მოსახლეობის ყველაზე განათლებული ფენებია, რომლებიც მრავალმხრივ აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს.

BBC RUSSIAN.com

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ბაქიბუქის კორიანტელში

*ეს ჩვენი ვითომდა ქვეყნის მოჭირნახულე ოპოზიციონერები, ერთთავად ხელისუფლების თათხვაში რომ არიან „გაგულავებულები“, რა დასამალია და, თავადაც ბევრ რამეში გვარიანად სცოდავენ — მარტოოდენ იმას ხედავენ, რაც ნაცების მთავრობამ ქვეყანაში აამტუტ-დაანგრია, გაკეთებულს კი, ცხვირწინაც რომ ედოთ, ვერ ამჩნევენ. ავიღოთ, მაგალითად, ხელისუფლებისთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიც გახლავთ ქვეყნის რეიტინგი. საქართველომ, რომელსაც ადრე მსოფლიოში კანტიკუნტად თუ ვინმე იცნობდა, ახლა რეიტინგის ისეთი „ტალავერი“ გააშენა, მთელი დუნია სანამყენე ჯიშებს აქედან ეზიდება. ეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმებიო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ბიზნესის საკეთებლად უიოლესი პირობებიო, ეს საბაჟო ნოვაციებიო და კიდევ რა აღარ, რამაც საქართველოს რეიტინგული ქვეყნის სწორუპოვარი იმიჯი შეუქმნა. მართალია ამავე რეიტინგულ ხელისუფლებას შიგადაშიგ დამშეული მოსახლეობის 30-ლარიანი ვაუჩერებით დაპურებაც უწევს, მაგრამ ეს იმ წარმატებასთან რა მოსატანია, რითაც ბოლო წლებში საქართველომ მაღალი რეიტინგის წყალობით მსოფლიოს თვალში მოიპოვა.*

# რეიტინგით „გასუქებული“ ქვეყნის „მჭლე“ პრობლემები



ეს, რა თქმა უნდა, დიდი სტიმულია უპირველესად ქვეყნის პრეზიდენტისთვის, რომელიც დღეში ხუთჯერაც რომ გამოვიდეს (ზოგჯერ მეტჯერაც!) ტელევიზიით, არავითარ შემთხვევაში შანსს არ გაუშვებს ხელიდან, რომ არ შეგვახსენოს თავისი მმართველობის პერიოდში საქართველოს მიერ მოპოვებული რეიტინგები — რეფორმატორობაში, ბიზნესის იოლად კეთებაში, დემოკრატიის განვითარებაში, კორუფციის დასამარებაში აღებული პირველი ადგილები, რამაც უცხოელი ინვესტორები იმდენად მოხიბლა, რომ აღარც კი უწყიან, რომელმა რომელს დაასწროს ჩვენთან თანხების დაბანდებაში. **ეს რეალურად აისახა კიდეც ქვეყნის ეკონომიკაში: თუ 2007 წელს ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, 2008 წლის პირველ ნახევარში — მილიარდნახევარი (მეორე ნახევარში ომის შედეგებმა იმოქმედა), 2009 წელს ინვესტიციების რაოდენობა 660 მილიონ დოლარამდე შემცირდა, ხოლო 2010 წელს მან კიდევ უფრო იკლო და დაახლოებით 530 მილიონი დოლარი შეადგინა. ექსპერტთა მონაცემებით, აქედან გამომდინარე, 2010 წელს საქართველოში ოთხჯერ ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2007 წელს, ეს იმ ფონზე, როცა 2010 წლისთვის ჩვენ ბიზნესის კეთების სიიოლით მე-11 ადგილზე ვიყავით(!).**

ამ ციფრებმა ცოტა არ იყოს, დაგაბნიათ, არა? პრეზიდენტი სააკაშვილი ერთთავად იმის მტკიცებაშია — მოზღვავებულმა ინვესტიციებმა აგვიკლოო, ექსპერტები კი ინვესტიციების ოთხჯერ შემცირებაზე ლაპარაკობენ. ამ სარეიტინგო ადგილმაც რომ გვიღალატა და 1-ის ნაცვლად მე-11 ადგილზე აღმოვჩნდით, ეს რაღას დავაბრალოთ, პრეზიდენტის არაინფორმირებულობას თუ განგებ თავის მოტყუებას? ან იქნებ ბაქიბუქის ხელოვნებას, რითაც მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოში უდავოდ პირველ ადგილზეა? ეკონომიკის ექსპერტ ნოდარ ხადურის შეფასებით, ის კი არ არის სათაკილო და ცუდი მაჩვენებელი, რომ ბიზნესის კეთების რეიტინგით 2010 წელს მე-11 ადგილზე ვიყავით, ხოლო ამჟამად მე-12 ადგილზე ვართ, არამედ ის, რომ ეს არის ჩვენი შესაძლებლობის რეიტინგი და არა რეალობის ამსახველი. მისი თქმით, ერთია, მთავრობა რა შესაძლებლობას სთავაზობს ინვესტორებს, და მეორე, რეალურად ქვეყანაში რა პირობებია შექმნილი ბიზნესის საკეთებლად.

როგორც წესი, უცხოური ეკონომიკური ინსტიტუტები თუ ექსპერტები ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგს საზღვრავენ იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ქვეყანას აქვს მიღებული. ამ მხრივ, იცოცხლეთ, მსოფლიოში ბევრი ვერავინ შეგვეტოქება. გადახედეთ ჩვენს კანონმდებლობას და უმალვე დარწმუნდებით, რა იოლია საქართველოში ბიზნესის კეთება. ქვეყანაში, სადაც მოქმედებდა ათასამდე ლიცენზია, იმათგან სულ თითზე ჩამოსათვლელიღა დარჩა, ბიზნესს ჩამოსცილდა ძველად არსებული ნებართვების ნუსხა და ბიუროკრატიული ბარიერები. ერთი სიტყვით, ბიზნესმა ამოისუნთქა, **მეწარმეს შეუძლია ერთ დღეში, სულაც რამდენიმე საათში, დაარეგისტრიროს საკუთარი ფირმა, მაგრამ ვაი შემდეგ მუშაობის დაწყებას და საქმიანობის სარფიანად წარმართვას. ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს არა მარტო ადგილობრივმა მეწარმეებმა, უცხოელმა ინვესტორებმაც, რომელთა უდიდესი ნაწილი საქართველოში ამჯობინებს უძრავი ქონების შეძენას, მასში თანხის დაბანდებას და არა წარმოების განვითარებას.** ამის დასტურია, თუნდაც ლიკანი, რომელიც იყიდეს უცხოელმა ინვესტორებმა, დაანგრიეს და შემდეგ აღარ ააშენეს. ილუზიად გვექცა ფოთში ინდუსტრიული ზონის ამოქმედება, რომლის გახსნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა არაერთგზის გვაზეიმა. აღარაფერს ვამბობ ქუთაისზე, სადაც ეგვიპტელებს მილიარდი დოლარი უნდა დაებანდებინათ, ფაქტობრივად კი ისინი რამდენიმე გაზქურის გამოშვებით დაკმაყოფილდნენ და მერე ნაწვიმარზე შემორჩენილი გუბესავით აორთქლდნენ. ანკი საიდან უნდა დაებანდებინათ მილიარდი დოლარი, როცა მათი კომპანიის ბრუნვა საერთოდ 90 მილიონ დოლარს არ აღემატებოდა? თავის დროზე ეს კითხვა რატომღაც არც პრეზიდენტს და არც მთავრობას თავში აზრად არ მოსვლიათ(!).

სააკაშვილისეული ფანტაზიებით თუ არ გამოვიკვებებით, **რეალობა ის გახლავთ, რომ ახალ-ახალი ინვესტორებით კი არ იძეძგება ქვეყანა, ძველებმაც კი, რომლებიც თავის დროზე შემოვიდნენ საქართველოში, ან შეაჩერეს საქმიანობა, ან საერთოდ ხელი აიღეს და გაუჩინარდნენ. ქვეყანაში „მყარად“ დაგვრჩა მხოლოდ ცრუ რეიტინგი, რომლითაც ვამაყობთ და რომელიც ეკონომიკას სარგებლობის ნაცვლად აზარალებს. ვიდრე საქართველოში არ მორჩება ბიზნესის დატერორება და ხელისუფლება ხელს არ შეაშველებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას, სამამულო პროდუქციის მეზობელ ქვეყნებში და ევროპაში გატანას, მანამდე წარმატებაზე ლაპარაკი აბსურდის ტოლფასია.** ჩვენ გვაქვს ღია ბაზარი მეზობლებისთვის, მაგრამ ცალმხრივად. საქართველოში ყველას შეუძლია უპრობლემოდ შემოიტანოს პროდუქცია, მაგრამ ისინი ასევე უპრობლემოდ არ აჭაჭანებენ ჩვენსას და იცით რატომ? ჯერ ერთი, არ გაგვაჩნია საექსპორტო პროდუქცია (ჩვენი ბაზრის 80 პროცენტი იმპორტს უჭირავს!) და თუ გაგვაჩნია, მსოფლიო სტანდარტით დადგენილ ხარისხის ნორმებს ვერ აკმაყოფილებს. რუსეთის ბაზარი ჩვენთვის დახურულია, ევროკავშირის ქვეყნებთან კი, რომლებთანაც უტარიფო ვაჭრობის უფლება გვაქვს, სწორედ ამ სტანდარტების დაუცველობის გამო ვერ ვურთიერთობთ.

კიდევ რა პრობლემები გვაქვს, რომელთა გადაუჭრელობა უცხოელ ინვესტორებს აფრთხობს, ხოლო ადგილობრივ მეწარმეებს მუშაობისა და წარმოების გაფართოების საშუალებას არ აძლევს? ეს უპირველესად გახლავთ საკუთრების ხელშეუხებლობა, რაზეც ხელისუფლება ბრტყელ-ბრტყელი დაპირებებით შემოიფარგლება, რეალურად კი მის დასაცავად არაფერს აკეთებს. ეტყობა, ამიტომაც უჩნდებათ სურვილი (და არც თუ იშვიათად!) ბიზნესმენებს, უსასყიდლოდ აჩუქონ თავიანთი ქონება სახელმწიფოს, რომელიც წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათ ქონების კონფისკაციით და საპყრობილეებში გამოკეტვით ემუქრება. გასაგებია, რომ ზოგიერთს ეს ქონება მართლაც არა აქვს სამართლიანი გზებით ნაშოვნი, მაგრამ სახელმწიფომ როდისმე ხომ უნდა დაამთავროს ქონებრივი დავების საკითხი? და ამასთან ერთად რეიტინგით ტრაბახიც, რომელიც, როგორც ირკვევა, არც იმდენად მაღალია, როგორც ქართველ ხელისუფალთ ეჩვენებათ. სინამდვილეში 2011 წლის მონაცემებით, ჩვენ ბიზნესის კეთებით მე-12 ადგილზე ვართ (პირველ ადგილზე იცით ვინ არის? უზბეკეთი!), ხოლო ბიზნესის კეთების სიადვილით — მე-8 ადგილზე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მშვენივრად იციან უცხოელმა ინვესტორებმა და ქართველ ხელისუფალთაგან, რომლებსაც ტრაბახი უფრო ეხერხებათ, ვიდრე რეალური საქმის კეთება, თავი შორს უჭირავთ.

**ოთარ ხუციშვილი**

SOS!

# თვითმკვლელთა ქალაქი

**რუსთავში ერთ კვირაში ორი თვითმკვლელობა მოხდაო, იტყობინება დამოუკიდებელი გაზეთი „რუსთავის ამბები“.**

ფაქტების ანალიზისას ჟურნალისტი ასკვნის, რომ ორივე უბედური შემთხვევა მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე მოხდა.

თოდრიას ქუჩის №19-ში მცხოვრები 40 წლის სიმონ ავალიშვილი მე-6 სართულიდან გადმოხტა. როგორც მისი ახლობლებისგან გახდა ცნობილი, რამდენიმე თვის წინათ მას ფეხი მოუტეხია, შემდგომ ავადმყოფობა გაურთულდა, ვერ იმკურნალა და განგრენა დაემართა. ამასობაში სამსახური დაკარგა, ოჯახი უსახსროდ დარჩა, არადა 40 წლის ასაკში პენსიას ვინ მიაშავებს კაცს. მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ახლა მთლად უპატრონოდ არიან მიგდებული.

იქვე ახლოს, მესხიშვილის №4-ში 78 წლის მამაკაცი შვილიშვილმა აღმოაჩინა აივანზე ჩამოკონწიალებული. ოჯახმა არ ისურვა ვინაობის გამხელა, არადა დამსახურებული კაცი ყოფილა, ერთ დროს საკმაოდ შეძლებული. იმ აივანზე, სადაც თავი ჩამოიხრჩო, სისტემატურად ვარჯიშობდაო, ამბობენ მეზობლები, მაგრამ დუხჭირ ცხოვრებას ვერ გაუძლო და...

ამ რამდენიმე თვის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილიც გამოვაქვეყნე იმხანად გახშირებული თვითმკვლელობების შესახებ. რუსთავი, ოდესღაც კი არა, აგერ ახლახან ქვეყნის ეკონომიკის ბურჯი რომ იყო, დუღდა და გადმოდუღდა ყველაფერი, დღეს აბსოლუტურად უმუშევართა ქალაქია. როგორც იტყვიან, სანთლითაც რომ ეძებო, სამუშაოს ვერ იპოვი. ახალგაზრდობას არ აქვს პერსპექტივა, თორემ ასაკში შესულთ ვინღა ჩივის. ჩვენი პრეზიდენტი კი ზღაპრებს გვიყვება აყვავებული ქვეყნის შესახებ, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. არადა, ერთი სასაფლაო რომ გადაივსო, მეორეც მოპირთავდა ჩათმის მთის უშველებელ ტერიტორიაზე და სადაცაა მესამე გაუხდება საძებარი რუსთავს, რაღაც ნახევარი საუკუნის სიჭაბუკის ქალაქად წოდებულს.

ამდენ უბედურებას რომ მოისმენ, კაცი თუ ხარ და გული გაქვს, გაგისკდება, აბა, რა იქნება!

გაიღვიძე საქართველოვ, გაიღვიძეთ ქართველებო! თორემ ხვალ აღარ იქნებით!

**გივი ჯახუა**

## განცხადება

**სს „საქართველოს ბანკის“ დირექტორატი აცხადებს, რომ 2011 წლის ივნისში განსაზღვრულია სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება.**

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2011 წლის 10 მაისი, 17:00 სთ-ის მდგომარეობით.**

**აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები, ისევე როგორც კრების ჩატარების ადგილი და ზუსტი დრო გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად მორიგი საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.**

სს „საქართველოს ბანკის“ დირექტორატი

**შპს „სამთომაშველი“ — ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №54, აცხადებს აუქციონს შპს „სამთომაშველის“ კაპიტალში რიცხული მიწის ნაკვეთიდან 8 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემაზე 2 წლის ვადით (საწყისი თვიური საიჯარო გადასახადი 1750 ლარი).**

**აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან 2 კვირის განმავლობაში. ტელ. 832-27-83-79.**

**აუქციონი ჩატარდება 13 მაისს, 15 საათზე.**

დირექტორი **თენგიზ ვადაჭკორია**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

№ 79. პარასკევი, 29 აპრილი, 2011 წელი.

ფეხბურთი

# საბედისწერო წაფორხილება



**თბილისის „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ გამოტოვებული მატჩის ფრედ – 1:1 (ფანცხავა, ადამაძეძ დასრულების შემდეგ თამამად შეგვიძლია „ზესტაფონს“ პირველად გაჩემპიონება მივულოცოთ. გია გეგუჩაძის გუნდი უახლოეს მდევარ „თეთრ-ლურჯებს“ უკვე ექვსი დაკარგული ქულით უსწრებს და თუ მისი დარჩენილი რამდენიმე მეტოქის ძალას გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენია ასეთი სოლიდური უპირატესობა გაფლანგოს.**

კახი კაჭარავას შეგირდები ბოლომდე შეუპოვრად ცდილობდნენ მათთვის ტრადიციულად უხერხული მოწინააღმდეგის გატეხვას, ორჯერ ბურთი ძელსაც მოახვედრეს, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# სადღაა კითხვები?!

**მაინც, რამდენჯერ უნდა შეხვდნენ გუნდები ერთმანეთს სეზონის განმავლობაში, მათ შორის უძლიერესი რომ გამოვლინდეს?**

ეს კითხვა ამ დღეებში მრავალჯერ დაისვა მას შემდეგ, რაც „რეალ“ – „ბარსელონას“ „ელ კლასიკოებმა“ ქრონიკული ხასიათი მიიღო.



პრიმერადივიზიონის სატურნირო ცხრილისა და პირველ წრეში „კამპ ნოუზე“ საძულველი მეტოქის უმოწყალოდ რბევის – 5:0 გათვალისწინებით პასუხი თითქოს ცალსახად კატალონიელთა უპირატესობაზე მეტყველებდა, მაგრამ „სამეფო თასის“ გათამაშების ამასწინანდელ ფინალში გამარჯვებამ ჟოზე მაურინიუს შეგირდებს საკუთარი ძალების რწმენა განუმტკიცა და სრულფასოვანი რევანშის აღების ილუზია შეუქმნა.

საამისოდ „ძველი სამყაროს“ ყველაზე ტიტულოვან კლუბს ისეთი სტიმულატორი ელოდა, უკეთესს ვერც ინატრებ კაცი – ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ პირველ რაუნდს ორივენი მნიშვნელოვანი საკადრო პრობლემებით შეხვდნენ: თუ მასპინძლებს კარვალიუ და ხედირა აკლდათ, ხოსეპ გვარდიოლა მოკლებული იყო შესაძლებლობას ბრძოლაში ინიესტა, მაქსველი და ადრიანო ჩაება. აღარაფერს ვამბობთ აბიდალსა და პრკიჩზე, რომლებიც კარგა ხანია ლაზარეთის ბინადრები არიან. ის კი არა, „ბრაულგრანას“ თავკაცი იძულებული გახდა დაცვის ცენტრში ნომინალური ნახევარმცველები მასკერანო და ბუსკეტსი გაემწესებინა, რომლებიც მონაცვლეობით უწყვილდებოდნენ პიკეს, ხოლო მარცხენა ფლანგის გაკონტროლება, ალბათ პირველად ხანგრძლივ კარიერაში, გამაყუჩებელი ნემსებით მოთამაშე პუიოლს მიენდო.

ასეთ ვითარებაში საფიქრებელი იყო, რომ პორტუგალიელი მაესტრო შედარებით გაბედული ტაქტიკით შეეცდებოდა სასურველი შედეგის მიღწევას, მაგრამ ვერ გარისკა, უარი თქვა ველოსიპედის მეორედ გამოგონებაზე და ისევ ის სქემა აირჩია, რომელმაც ვალენსიაში ერთი კვირის წინათ მოუტანა წარმატება. ყოველ შემთხვევაში, სათადარიგოთა სკამზე იგუაინის, ბენზემას, ადებაიორისა და კაკას დატოვება სწორედ მოჭარბებულ სიფრთხილედ შეიძლება შეფასდეს.

პირველმა ტაიმმა და მეორის დუბიუტმა სწორედ „განსაკუთრებულის“ სცენარით ჩაიარა – სტუმრები ისეთ წნეხში მოექცნენ, იშვიათად ახერხებდნენ თავისუფალი სივრცეების მოძებნას და პრაქტიკულად ვერავითარ ხიფათს ვერ ქმნიდნენ კასილიასის კართან, მაგრამ 63-ე წუთზე მონასტერი სავსებით უწყინარ სიტუაციაში აირია. ამ ეპიზოდში „სამეფო კლუბის“ საკვანძო ფიგურამ პეპემ მინდვრის ცენტრში ნაჯახივით მოუქნია ფეხი ალვესს და გერმანელ მსაჯს შტარკს თავი გააძევებინა. აქედან მოყოლებული, ხავიმ და კომპანიამ შვებით ამოისუნთქეს, ხოლო სარბიელზე აფელაის გამოჩენით გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს, რაც მესის „დუბლით“ გამოიხატა – 2:0. გენიალური არგენტინელის შთამბეჭდავი დრიბლინგის შემდეგ მისი პირადი მონაგარი 11 მატჩში გატანილ 11 გოლამდე გაიზარდა. მეტი რაღა უნდა ქნას გუნდის ლიდერმა?



ბუნებრივია, იმ საღამოსაც ვნებები დუღდა და გადმოდუღდა, ტრადიციისამებრ ემოციურად ირჩეოდა საქმეები და წითელი ბარათი პინტუსა და მაურინიუსაც აუფრიალეს, თუმცა ახლა ეს უკვე მეორეხარისხოვანია. 3 მაისს გაგრძელება იქნება.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# რჩეულნი



**დღეს 14 საათზე ქუთაისის ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი, რომელსაც, ტრადიციისამებრ, სამქულიანებისა და ბურთის კალათში ჩატენვის კონკურსები დაამშვენებს.**

სასტარტო ხუთეულები გულშემატკივართა ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეირჩა, რომელიც ათი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო შოუ-წარმოდგენის დანარჩენი მონაწილენი გუნდების თავკაცებმა ლევან მოსეშვილმა და ნუგზარ ჭეიშვილმა დაასახელეს.

**გაეცანით მათ რჩეულებს.**

**ლევან მოსეშვილის გუნდი**

გივი ბაქრაძე, კოტე ტუღუში, ანატოლი ბოისა, გიორგი შარაბიძე („არმია“ძ, დავით ბარბაქაძე (შსს, სასტარტო ხუთეულიძ, ლაშა ფარღალავა („სოხუმი“ძ, ბესიკ ლეჟავა (შსსძ, იუჯინ ჰარისი („სოხუმი“ძ, დავით საყვარელიძე, გიორგი პირველაშვილი („არმია“ძ, კარლ დამუსი („სოხუმი“ძ, სერგო ათუაშვილი („არმია“ძ.

**ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი**

გიორგი გაფრინდაშვილი, რიჩარდ მათიაშვილი (თსუძ, დუდა სანაძე („ბათუმი“ძ, გიორგი ბარბაქაძე, ბუბა კვიმსაძე („ქუთაისი“, სასტარტო ხუთეულიძ, მიხეილ ჩიტაშვილი, მიხეილ ბერიშვილი (თსუძ, რევაზ დიდია („ქუთაისი“ძ, მიხეილ ჭოჭუა, აკაკი დვალიშვილი, ბექა ბექაური („სამედიცინო“ძ, ილია ლონდარიძე (თსუძ.

დავძენთ, რომ ქომაგთა საყვარელი მოთამაშე ანატოლი ბოისა გახდა – 2083 ხმა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი

# გენერალური რეპეტიცია



**როგორც მოგეხსენებათ, 24 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით თბილისი 20-წლამდელთა მსოფლიო თასის „ალაფს“ უმასპინძლებს, სადაც ახალგაზრდა „ბორჯღალოსანთა“ მეტოქენი „ბ“ ჯგუფში იაპონელი, კანადელი და ზიმბაბველი თანატოლები იქნებიან.**

მომავალი ფორუმის წინ პაატა ნარიმანაშვილის შეგირდებმა გენერალური რეპეტიცია ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში მოაწყვეს საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონის – „კლერმონის“ ამავე ასაკის გუნდთან და გაიმარჯვეს – 36:22. პარტნიორებს ქულები მოუტანეს ჩხეიძემ, ნავროზაშვილმა, ჩომახიძემ (ლელოძ, მჭედლიშვილმა (2 საჯარიმო და 2 გარდასახვაძ, კობახიძემ (2 საჯარიმო და გარდასახვაძ და ჭინჭარაულმა (არეკნიძ.

როგორც ჩვენებურთა თავკაცმა განაცხადა, მისი კრებულის ძირითადი კოზირი ძალისმიერი თამაშია, რაც სტუმართა ჩათვლის მოედანზე შერკინების ხარჯზე დადებულ სამ ლელოში გამოიხატა.

**როსტომ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

## აი, ვისგან უნდა ისწავლოთ!

**რასაკვირველია, ბევრი უცნაურობები ხდება სპორტში. მათ შორის ფეხბურთში. მაგალითად, ისეთი გამორჩეული კონტრაქტი, როგორიც იყო პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუს გადასვლა ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მადრიდის „რეალში“, რამაც მაშინ საფეხბურთო წრეები შეძრა.** ახლა კი, ალბათ, მთელ საფეხბურთო სამყაროს აალაპარაკებს პატარა ფეხბურთელის ამბავი. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წელიწადნახევრიანი ბიჭუნას მამამ ბორკე ვან დერ მეიამ Youtule-ში მოათავსა მიკროფილმი, რომელშიც მისი ბიჭუნა ზედიზედ სამი ზუსტი დარტყმით ყუთში ათავსებს სამ ბურთს. „როლიკს“ თითქმის მილიონი ჩვენება მოუწყეს. ბიჭუნა და მისი ოჯახი იმ კლუბის გულშემატკივრები არიან, სადაც ბერკეს პაპა გამოდიოდა როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ კლუბმა, რომელიც ახლა უმაღლეს დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზეა, 10-წლიანი „სიმბოლური“ კონტრაქტი გააფორმა ნორჩ ფეხბურთელთან.



როგორც კლუბის პრესსამსახური აცხადებს, ჯერჯერობით ყველაფერი როდია განსაზღვრული. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მარჯვენა დამრტყმელ ფეხიან ფეხბურთელზე, მშვენიერი ტექნიკური დარტყმა რომ შეუძლია და მისი დიდი პაპის საფეხბურთო გენებზე“.

## მსოფლიო რეკორდი დაამხო

**ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც მიწისძვრით დანგრეული იაპონიის ნაცვლად რუსეთის დედაქალაქი – მოსკოვი მასპინძლობს, კანადელმა ფიგურისტმა პატრიკ ჩანმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი მოკლე პროგრამაში. მისი შეფასება 93,02 ქულაა, რითაც გააუმჯობესა რუსეთელი ევგენი პლიუშჩენკოს რეკორდი, რომელიც მან 2010 წლის იანვარში ევროპის ჩემპიონატზე ტალინში დაამყარა – 91,30 ქულა.**



მეორე ადგილზეა იაპონელი ნობუნარი ოდა – 81,81 ქულა, მესამეზე კი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი დეისუკე ტაკახასი 80,25 ქულა.

## ქველმოქმედებამ დააახლოვა

**ეროვნული საფეხბურთო კლუბის „ჩიკაგოს“ კვოტერბეკმა ჯეი კატლერმა ამ დღეებში ხელი სთხოვა თავის მეგობარ ქალს – ადგილობრივი სერიალების ვარსკვლავ კრისტი კავალარის. როგორც ამის თაობაზე გამოცემას People აცნობა თავისმა წყარომ, ბედნიერი ამბავი მოხდა მექსიკაში.** დაბა კაბო სან ლუკასში ერთად დასვენების დროს „ჯეიმ ის გააოცა როგორც კაბოში სწრაფი ჩასვლით, ისე ხელის თხოვნით“, – უთქვამს წყაროს. თავად კრისტი ადრე ამბობდა, რომ უყვარს ფეხბურთელი და ეს ძალზე კარგიაო. თუმცა თავად საქმრო არავითარ კომენტარს არ აკეთებდა.



წყვილი გასულ შემოდგომაზე შეხვდა ერთმანეთს. როგორც ამბობენ, მათ შორის სრული ურთიერთგაგება და სიყვარულია. ჯერ კიდევ იანვარში კრისტი ამტკიცებდა, რომ ჯეიმ უკვე დაიპყრო მისი გული და, რომ მასაც და მის დედასაც უყვართ ჩიკაგოში ცხოვრება.

აღსანიშნავია, რომ ორივე ჩართულია ქველმოქმედებაში – ლამაზმანი ბავშვებს ეხმარება ორგანიზაციის „ერთ ბავშვს – ერთი სამყაროს“ საშუალებით. მან აფრიკა და ლათინური ამერიკა შემოიარა. ფეხბურთელმა კი მოზარდთა დასახმარებლად თავის ფონდი შექმნა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ შეუცნობელი

# დედამიწის რისხვა

## როგორ უკავშირდებიან რევოლუციები და მიწისძვრები?

**მიწისძვრა და ცუნამი იაპონიაში, კრიზისი არაბულ სამყაროში – ოზივატელის თვალში ყოველივე ეს ღვთის წყრომას წააგავს, მაგრამ მეცნიერებამ ჩაალწია დედამიწის გულის სიღრმეში და ამის ახსნას სწორედ იქ მიაგნო.**

### მთვარე – დირიჟორი

**როგორც ცნობილია, ჩვენი ცხოვრება განისაზღვრება ციკლებით, მათ შორის პლანეტა დედამიწის ცხოვრებაც. მასზე თავისი გრავიტაციული ველებით მოქმედებენ მთვარე და სხვა ციური სხეულები. თითოეული მათგანი ხან გვიახლოვდება, ხანაც გვშორდება, თუ ამ ციკლებს შევკრებთ და ერთმანეთზე დავაწყობთ, შესაძლოა საინტერესო ამბების დანახვა.**

„როდესაც 2004 წელს სუმატრის სანაპიროებთან მოხდა მიწისძვრა ცუნამით, დაიღუპა 300 ათასი ადამიანი. თავის პიკს მიაღწია ერთბაშად რამდენიმე ციკლმა. მათ შორის 28-დღიანმა მთვარისამ, აგრეთვე 18,6 წლის ხანგრძლივობის ციკლმა, რასაც წარმოქმნის მთვარის გაცილებით რთული მოძრაობა, – **მოგვითხრობს რუსეთის ჰიდრომეტეოცენტრის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ სიდორენკოვი,** – რასაკვირველია, მთვარე თვითონ კი არ იწვევს მიწისძვრებს, ის მხოლოდ ასრულებს დირიჟორის როლს, იძლევა განკარგულებას, თუ სტიქიამ როდის უნდა გამოაჩინოს თავი. ეს კი ხდება მთვარე-მზის მიმოქცევათა ხარჯზე. მთვარე მხოლოდ კი არ იზიდავს ზღვის წყალს, ოკეანეებში მიმოქცევებს რომ იწვევს. არამედ ის ოდნავ ჭიმავს და ფორმას უცვლის მთელ დედამიწას. ზემოქმედებს მის თხევად ბირთვზე. ეს კი იწვევს ლითოსფერული მიკროფილების რწევას და შეიძლება, მიწისძვრაც გამოიწვიოს.

მთვარე-მზის მიმოქცევის ინდიკატორია დედამიწის ბრუნვის სიჩქარე. ის მუდმივი როდია. იცვლება თითქმის ყოველკვირეულად, აგრეთვე სეზონების მიხედვით. ჩვენი „ბურთულა" ხან ანელებს ბრუნვას დღე-ღამეში მილიწამის მეათედით (ეს უმნიშვნელო სიდიდეა, მაგრამ შესაძლოა მისი დაფიქსირებაძ, ხანაც აჩქარებს. ნიკოლოზ სიდორენკოვი, ამინდის გლობალურ ანალიზებს რომ იკვლევს, წინასწარ გაიანგარიშებს ამ რყევებს: „იაპონია შეანძრია 11 მარტს, დედამიწის ბრუნვის მაქსიმუმმა კი 12-ში მიაღწია. საერთოდ კავშირი ამ მახასიათებელსა და სეისმურ აქტივობას შორის მრავალგზისაა აღნიშნული".



### ღვთის სასჯელი

**დედამიწა გიგანტური გიროსკოპია, „ბზრიალაა" – კოსმოსურ სივრცეში რომ ტრიალებს. თანაც ამასთან გავსებულია თხევადი შემადგენლობით, მაგმით, რომელიც „ცხოვრობს" თავისი კანონებით.**

„პლანეტის ციკლური და სეისმური აქტივობა კი, რაც საინტერესოა, სოციალური კატაკლიზმები: ომები, რევოლუციები, სახალხო მღელვარებანი, – ამბობს **ანდრეი შალიგინი, ფილოსოფიის დოქტორი, სამხედრო მეცნიერი, წიგნის „აპოკალიფსისი, რელიგია და მეცნიერება" ავტორი, – გამშვებ მექანიზმად კი მათთვის დედამიწის იგივე „თხევადი შიგთავსია"** – მაგმის გიგანტური ნაკადები იწვევს ელექტრო-მაგნიტურ აღშფოთებას, რაც გავლენას ახდენს ადამიანთა მოქმედებაზე. ცნობილია, რომ ცხოველები ადრევე იტყობენ მოსალოდნელ მიწისძვრას – ისინი ძალზე მოუსვენარნი ხდებიან. თუმცა აღმოჩნდა, რომ ადამიანებიც თავს „სხვანაირად" გრძნობენ, ოღონდ ამას ანგარიშს არ უწევენ. ჩვენი ტვინი, უხეშად რომ ვთქვათ, „ნეიროკომპიუტერია თხევად კრისტალებზე", სადაც ყოველ იმპულსს აქვს ელექტრო-მაგნიტური ბუნება. ცვალებადი გარე ველის ზემოქმედებით „კომპიუტერი" იწყებს არევას, მას ექვემდებარება გულ-სისხლძარღვთა სისტემაც, რკინას რომ შეიცავს. იცვლება როგორც იმ წუთიერი ქცევის რეაქციები, ასევე მთელი მიდრეკილებანი, ადამიანის ხასიათი. იწყება შიში, მოუსვენრობა, გაღიზიანებულობის, აგრესიის გრძნობების მომატება. ეს კი ბარაქიანი ნიადაგია მღელვარებისა და უწესრიგობისთვის. დედამიწის გეოდინამიკურ აქტიურობასა და შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის კავშირი ნათლად გამოიხატება. ვთქვათ, სპიტაკში დამანგრეველ მიწისძვრას წინ უსწრებდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. ასევე იყო ინდოეთში, თურქეთში, ჩინეთში. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ზემოქმედება განიცადეს იმ რაიონების მცხოვრებლებმა, სადაც მაგმის ნაკადები ყველაზე ახლოს იყო დედამიწის ზედაპირთან. ეს გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოტიპზე. განა შემთხვევითია, რომ მთიელები ტემპერამენტიანი და ფიცხები არიან – ისინი ხომ ნიადაგის ნამსხვრევებზე ცხოვრობენ.

### აგრესია – ბუნების კატაკლიზმების მაცნე

**ანდრეი შალიგინის ჰიპოთეზა თავისებურად ხსნის ცნებას „ღვთის რისხვა". ამის კლასიკური მაგალითია სოდომისა და გომორის ისტორია. ამ ქალაქების მცხოვრებლები ჭკუიდან იშლებოდნენ თავიანთი უხამსი სურვილების გამო და მალე მათ მოუსწრო „ღვთის სასჯელმა" – მოხდა სეისმური კატასტროფა – მიწა მკვდარი ზღვის ფსკერზე ჩაეშვა. ანალოგიური სიტუაცია იყო პომპეიშიც ვეზუვის ამოფრქვევის წინ. ორივე შემთხვევაში, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, პირველადი იყო გეოდინამიკური აქტიურობა, სწორედ მან გამოიწვია გადახრები ადამიანთა ქცევაში, გახადა ის „ცოდვიანი".**

წლეულს სოციალური კატაკლიზმების ტალღამ უკვე გადაუარა არაბული სამყაროს ქვეყნებს, შემდეგ მიწისძვრა მოხდა ხონსიუს ნაპირებთან. **ეს ერთიანი ჯაჭვის რგოლები ხომ არ არის? თავიდან მაგმურმა ნაკადმა გამოიწვია სოციალური აქტიურობა იქ, სადაც მისთვის შეიქმნა ყველა წანამძღვრები, შემდეგ კი ტექტონური დაძაბულობა განვითარდა იქ, სადაც ის განსაკუთრებით ძლიერი იყო.** სხვათა შორის, თავად იაპონიაში „აგზნების" გარეშე ვერ გადაარჩენენ – ისტერიის მორიგი შეტევა კურილიის კუნძულების გარშემო, რუსული დროშის დაწვა – ყოველივე ეს უცნაურად და უაზროდ გამოიყურება.

**დიმიტრი პირასენკო**

◉ ჩვენი კარაბადინი

### პირმშოთა ტვირთი

**პირმშოები უფრო ალერგიულები არიან მომდევნოებზე, მიაჩნიათ იაპონელ მეცნიერებს.** გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ საკვების ალერგია ოჯახში პირველ შვილებთან გვხვდება 4 პროცენტში, მეორეებთან 3,5 პროცენტში და მხოლოდ 2,6 პროცენტში დანარჩენებთან. მეცნიერები ამბობენ, რომ მიდრეკილება ალერგიისადმი, ალბათ, ყალიბდება ჯერ კიდევ საშვილოსნოსშიდა პერიოდში. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ არის შესაძლებლობა, ადრეულად გამოვავლინოთ იგი და ვუმკურნალოთ.

### ტკბილი ცხოვრება კოვზებით



**ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია მთელი ცხოვრება გავხადოთ ნაკლებად ტკბილი, მიაჩნიათ ამერიკელ დიეტოლოგებს. წონის მომატება ხშირად შაქრის მოხმარების მომატებას ემთხვევა.**

ისინი 27 წლის განმავლობაში სწავლობდნენ 25-74 წლის მოხალისეთა კვების რაციონს. ამ წლების მანძილზე შაქრის მოხმარება ყველა ასაკის მამაკაცებსა და ქალებს შორის გაიზარდა. ამასთან ერთად იზრდებოდა მოხალისეთა სხეულის მასის ინდექსიც. 2007-2009 წლებში, სრულიად ამერიკის გამოკითხვის თანახმად, მამაკაცები მოიხმარდნენ 15,3 პროცენტ ყოველდღიურ კალორიას დამატებითი შაქრის სახით, რაც 1980-1982 წლებთან შედარებით 37,8 პროცენტით მეტია. ქალებში დამატებითი შაქრის მოხმარება 1980 წლის დასაწყისის 9,9 პროცენტიდან შეიცვალა 13,4 პროცენტამდე 2007-2009 წლებში. ექიმები ქალებს ურჩევენ არ მოიხმარონ დღეში 100 კილოკალორიაზე მეტი დამატებითი შაქარი, მამაკაცებს კი – 150 კილოკალორიაზე მეტი. ცნობისათვის:. ჩაის ერთ კოვზ შაქარში 15-20 კილოკალორიაა.



### რაშია მარილი?

**რაც ფიზიკურად უფრო აქტიურია ადამიანი, მით ნაკლებად ეწევა მას მაღლა არტერიული წნევა მარილის მოხმარების საპასუხოდ. ასეთ აღმოჩენამდე მივიდნენ ამერიკელი მედიკოსები, როდესაც შეადარეს ერთმანეთს გამოკვლევის მონაწილე 2 ათასი კაცის წნევის მაჩვენებელი.** ისინი ორი კვირის განმავლობაში კვებასთან ერთად ღებულობდნენ ან 3000 მილიგრამ სუფრის მარილს დღეში, ან 18000 მილიგრამს. ექიმები ასევე თვალყურს ადევნებდნენ ამ მოხალისეების ფიზიკური აქტიურობის დონეს.

აღმოჩნდა, რომ ორგანიზმის მგრძნობელობა მარილის მოქმედებისადმი გულზე ეცემოდა 17 პროცენტით – საშუალო აქტიურობის ჯგუფში და 38 პროცენტით – ექსპერიმენტის ფიზიკურად ყველაზე აქტიურ მონაწილეთა შორის.

მიუხედავად ამისა, ექიმებს მიაჩნიათ, რომ გამოკვლევის შედეგები არ მოგვიწოდებენ, მივიღოთ ბევრი მარილიანი პროდუქტი, ვინაიდან მარილი მაინც ნეგატიურად მოქმედებს გულის ფუნქციაზე. ამერიკის კარდიოლოგიური ასოციაცია გვირჩევს, მივიღოთ 1500 მილიგრამზე ნაკლები საკვები ნატრიუმი დღეში.

### ანალიზი ცრემლის მიხედვით



**ინჟინრებმა არიზონას შტატის უნივერსიტეტიდან დაამუშავეს მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს შაქრის დონე სისხლში ცრემლის ანალიზით.** ეს ათავისუფლებს დიაბეტით დაავადებულებს სისხლის ანალიზის ჩაბარების აუცილებლობისგან. ბევრი როდი გადის სიამოვნებით ამ პროცედურას, რასაც მივყავართ შაქარზე კონტროლის დონის დაქვეითებამდე. აქედანაა – გულის, თირკმელების დაავადებისა და რეტინოპათიის (თვალის ბადისებრი გარსისძ რისკი. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ახალი მოწყობილობა საშუალებას მისცემს ავადმყოფებს უფრო ხშირად განსაზღვრონ შაქრის დონე.

**ნუნუ, მალხაზ, მურად გელეიშვილები, ლეილა კაკაბაძე ოჯახებით იუწყებიან დედისა და დის**
**ეთერ კაკაბაძე-გელეიშვილის**
**გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 V, დაკრძალვა 3 V, 15 სთ. მისამართი: სამტრედია, გამარჯვების ქ. №65.**

◉ ინფორმაცია

### ვაზისუბანს მგლები შეესივნენ

**გურჯაანის** რაიონის სოფელ ვაზისუბანს მგლები შეესივნენ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მტაცებლებმა გიორგი სანიშვილის კვიცი დაგლიჯეს. ადგილობრივების თქმით, ეს მტაცებლების თავდასხმის პირველი შემთხვევა არ არის და მგლები სოფელში დღისითაც დარბიან.

– ორი თვის წინათ მგლებმა ცხენიც დამიგლიჯეს. ეზოებში დღისითაც კი შემოდიან, – ამბობს სანიშვილი.

ვაზისუბნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ვალერი სოლომნიშვილის თქმით, მოსახლეობას საქონელი დაცულ სადგომებში უნდა ჰყავდეს და მტაცებლები ველარ დააზარალებენ.

ХО-ЭОВ-ЭБО

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## სულიერება

# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის – „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაული



**29 აპრილს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს ღვთისმშობლის ხატის „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაულს.**

წყაროზე არსებული ტაძარი აღმართულია კვიპაროსებით, ჭადრებით და ტყით დაბურულ ადგილას. ეს ტაძარი ბრწყინვალებითა და სილამაზით გამოირჩევა.

ამბობენ, რომ წყაროსთან მისული ავადმყოფნი იკურნებოდნენ.

XV საუკუნეში „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაულად აღნიშვნა ბრწყინვალე შვიდეულში მოაქციეს, ისე როგორც, მაგალითად, ათონის ივერთა მონასტრის ტრადიციითაა დადგენილი ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს „ივერიის ღვთისმშობლის“ ხატის დღესასწაული.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### საუკეთესო მუშაკები



**რაც უფრო პატიოსანი და თავმდაბალია თანამშრომელი, მით უფრო მაღალია მისი მუშაობის ეფექტიანობა, ამტკიცებენ ბეილორის უნივერსიტეტის ექსპერტები.**

ამერიკული გამოკვლევა ეწყობოდა 25 სხვადასხვა კომპანიაში 269 თანამშრომლის მონაწილეობით. მათმა ხელმძღვანელებმა შეაფასეს თითოეული მონაწილის შრომისუნარიანობის რეიტინგი 35 სხვადასხვა ჩვევის გათვალისწინებით. აღმოჩნდა, რომ პატიოსანი და თავმდაბალი თანამშრომლები ყველაზე უკეთ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს. სპეციალისტების სიტყვებით, ასეთი ხალხი ხელსაყრელია პროფესიებისთვის, რომლებშიც საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა პროდუქციისთვის ან კლიენტებისთვის. ამბიციური და ეგოისტური პიროვნებები უფრო ესადაგებიან ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც საჭიროა თვითრეკლამა და დამოუკიდებელი წინსვლა საკარიერო კიბეზე.

### უკვე აღარ არიან მარჩენალები

**XXI საუკუნეში მამაკაცებს უფრო ხშირად შეაწუხებს დეპრესიები, მიაჩნიათ ამერიკელ სპეციალისტებს.**

ბევრი მამაკაცი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის როლს, როგორც ოჯახის მარჩენალისა და დამცველისა. ამ როლის შეუსრულებლობა იწვევს დეპრესიას და მივყავართ ოჯახურ კონფლიქტებამდე, რაც აუარესებს მამაკაცის ფსიქოემოციურ მდგომარეობას.



2007 წლის რეცესიების დაწყებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკარგული სამუშაო ადგილების 75 პროცენტი მამაკაცებს ეკუთვნოდა. მომუშავე ქალები სულ უფრო ხშირად ხდებიან ოჯახის მატერიალური შემოსავლების წყარო – ცოლების 22 პროცენტი, 1970 წლის 4 პროცენტთან შედარებით, თავიანთ ქმრებზე მეტს გამოიმუშავებენ.

### ტიპური დედამიწელი

**მსოფლიოში ადამიანის ყველაზე გავრცელებული ტიპი სადღეისოდ ჩინელი მამაკაცია.** ასეთი ჩინელი 28 წლისაა, ის მემარჯვენეა, გამოიმუშავებს თვეში ათას დოლარზე ნაკლებს, აქვს მობილური ტელეფონი, თუმცა საბანკო ანგარიში მაინც ვერ გახსნა. და ამ აღწერას შეესაბამება დაახლოებით 9 მილიონი კაცი. მაგრამ ეს მამაკაცი დიდხანს ვერ დარჩება ყველაზე ტიპიურ დედამიწელად. 20 წლის შემდეგ მისი სახე შეიცვლება და ის ინდოელს მოგვაგონებს.



### მაპატიეთ, დამაგვიანდა

**ხელმძღვანელობისთვის საბაბის მოფიქრება, რომ აუხსნას სამუშაოზე დაგვიანების მიზეზი, უწევს დაახლოებით ყოველ მეხუთე კანადელს. გამოკითხვის თანახმად, რომელიც მოეწყო 550 მოსამსახურეს შორის, შარშან მათგან 19 პროცენტმა სამსახურში დაიგვიანა სულ ცოტა კვირაში ერთხელ მაინც, 11 პროცენტმა – კვირაში ორჯერ.**

ყველაზე მოარული განმარტებაა – „ჩამეძინა, ვერ გავიგონე მაღვიძარას ხმა“. 15 პროცენტი სატრანსპორტო პრობლემებს იშველიებს: „საცობში მოვხვდი, როდესაც სამსახურში მოვდიოდი“, 12 პროცენტი – გადაულახავ წინააღმდეგობებს მკაცრი ამინდის პირობებში. პოპულარულია აგრეთვე საჩივრები სირთულეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების გასტუმრებასთან სკოლაში და ოჯახური პრობლემები. იყო ეგზოტიკური მიზეზებიც, რომლებსაც იშველიებდნენ დაგვიანებულები: „ქურდმა მანქანის გასაღები მომპარა“, „დამავიწყდა, რომ დღეს სამუშაო დღე იყო“. ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთი დაგვიანებულის ნათქვამი, რომ ის თითქოს „საკუთარი სატვირთო მანქანის ქვეშ მოყვა“.



### ბანი და სოპრანო – მერყეობის ნიშნებია

**მამაკაცს, რომელიც დაბალი ხმით ლაპარაკობს, მეტი მიდრეკილება აქვს ღალატისადმი, მიაჩნიათ ქალებს. მამაკაცებისთვის არაერთგულებასთან ასოცირდება ქალბატონის მაღალი ხმა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი ფსიქოლოგები, რომლებმაც შეისწავლეს კავშირი ხმის სიმაღლესა და ღალატის აღქმასთან.**



მოხალისეებს სთხოვდნენ, მოესმინათ მამაკაცისა და ქალის ხმის ორი ვერსია ჩაწერილი აუდიოზე. შემდეგ თითოეულს შეეკითხნენ, რომელი ხმის ადამიანი მოატყუებს ყველაზე მეტად თავის რომანტიკულ პარტნიორსო. როგორც მკვლევარებმა განმარტეს, მამაკაცებს ტესტოსტერონის მამაკაცური ჰორმონის მაღალი დონით აქვთ, როგორც წესი, უფრო დაბალი ხმა, ქალებს კი ესტროგენის მაღალი დონით – პირიქით, მაღალი. ამ ჰორმონების ამაღლებული დონეები დაკავშირებულია ღალატისადმი მიდრეკილებაზე.

Аргументы и факты

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
**99-62-77; 899 32-85-76.**

ორგანიზაცია
ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

**იყიდება, ქირავდება!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე) ვრცელი ფართობი (180 კვ.მ) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6672 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3998 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7179 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9144 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +14 |
| ბათუმი. | +9 – +13 |
| ზუგდიდი. | +8 – +15 |
| თელავი. | +10 – +15 |

## კადრი



## ანეკდოტები

მედვედევის წინასაარჩევნო სლოგანი:
„ორი ბოროტებიდან ნაკლებს ირჩევენ!“

* * *

– რეკლამა თავის საქმეს აკეთებს?

– რა თქმა უნდა, აკეთებს. გუშინ გამოვაქვეყნეთ სარეკლამო განცხადება, რომ გვჭირდება დარაჯი.



ღამით გაგვქურდეს.

* * *

ნელ-ნელა შევდივარ შენში... შენში ისეთი სივიწროვე და სიცხეა, რომ განძრევაც არ შემიძლია... და მეც ვიწყებ ქანაობას შენი მოძრაობის ტაქტის მიხედვით... ოო, მაგარია! მე მიყვარხარ შენ – თბილისის დილის მეტროს ვაგონო!

* * *

– წუხელ მთელი ღამე არ მიძინია, – ეუბნება ერთი მეზობელი მეორეს, – ვიღაც მუდმივად ითხოვდა შველას.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ. ეს პირველ სართულზე გადასახადები ახრჩობდნენ მცირე და საშუალო ბიზნესს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24